140
1957/3

ჟურნალი

12
დეკემბერი
1957

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟ ი ო ნ ე ლ ი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
უოვველთვიური
საბავშვო ჟურნალი

12

დეკემბერი
1957

7290

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ნ. კილასონია—საახალწლო (ლექსი)	2
ტ. კვანჭილაშვილი—მგზავრები (მოთხრობა)	3
ბ. ქართველიშვილი—სიზმარი (მოთხრობა)	4
დ. გვრიტიშვილი—751 წლის წინათ (წერილი)	7
ლ. ასათიანი—ბასიანის ბრძოლა (პოემა)	8
ნ. ვარვაროვი—დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი—(წერილი)	11
ახალი საჩუქრები—(წერილი)	12
ე. ყიფიანი—ბუნება ჭერქვეშ (ნარკვევი)	14
ბუნების კარი	17
გ. გოლუბევი—ჩრდილოეთის ტბის ტყვე (მოთხრობა, თარგმნა შ. ღოღობერიძემ)	18
ნ. წულეისკირი—შინ, ოჯახში... (ნარკვევი)	22
ქ. სიხარულიძე—ჰელსინკში—(წერილი)	24
გ. ჭიჭინაძე—მუხრან-ბატონი და გოგრის პატრონი (ზღაპარი)	26
ინგლისური იუმორი	27
საინტერესო თემაზე	27
მისალმებათა ლექსიკონი	29
მოკლედ ყველაფერზე	30
ლესინგის იგავები	32
კრილოვი—სარკე და მაიმუნი (იგავი)	32

გარეკანის პირველ გვერდზე „ბასიანის ბრძოლა“,—ნახატი **კ. მახარაძისა**, გარეკანის მეორე გვერდზე „კრემლი“—ნახატი **ვ. ჯაფარიძისა**, გარეკანის მესამე გვერდზე სარკე და მაიმუნი — ნახატი **ი. გაბაშვილისა**, გარეკანის მეოთხე გვერდზე—იუმორი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: **გ. თოთიბაძის, გ. გელოვანის, რ. ცუცქირიძისა,** და **დ. ნოდიას** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი
XXXI

საგლეტგამი

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საახალწლო

რომ მშვიდობა გვახარონ,
ფრთა გაშალეს მტრედებმა.
წელიწადო,
ახალო,
რა ლამაზად თენდება.

ნაძვის ხეებს ადნება
თოვლის თეთრი ფანტელი..
მოგაქვს ლხენა რამდენი,
საჩუქარი რამდენი!

რადგან მთელი სამყარო
შენი შუქით ბრწყინდება,
წელიწადო,
ახალო,
სალამი და დიდება!

ნაზი კილასონია

ნახატი გ. როინიშ



ზარიელ კვანჭილაშვილი

ნახატები გ. გელოვანისა

მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი

ტროლეიბუსი ვერის ბაზრიდან გმირთა მოედნისაკენ მისრიალებდა. ტევა არ იყო. მძღოლი ჩქარობდა — ალბათ, განრიგიდან ამოვარდნილიყო და დაკარგული წუთების ანაზღაურებას ამ დაღმართში აპირებდა.

წინა სკამზე ერთი მოხუცებული იჯდა, მის გვერდით კი ორმოციოდე წლის ვაჟკაცი, რომლის ახოვანი ტანი ჯიუტად მიყრდნობოდა სკამის საზურგეს. მკერდი ორდენებით ჰქონდა გავსებული. მისი შესახედაობა კაცს შეშურდებოდა კიდეც, მაგრამ გულზე მიყრდნობილი ხეიბრის ჯოხი ამ გრძნობას ანელებდა.

მეორე რიგში ორი ყმაწვილი იჯდა. მათი ოხუნჯობა მგზავრებს თავს აბეზრებდა.

ტროლეიბუსი მორიგ გაჩერებაზე შედგა.

მანქანიდან არავინ ჩასულა, ოღონდ წინა კარიდან ერთი ჩვილბავშვიანი ქალი ამოვიდა.

მანქანა მალე დაიძრა. მგზავრებმა ტორტმანი გაგანაგრძეს.

ბავშვიანმა ქალმა წინა სკამები მოათვალიერა, მაგრამ, თავისუფალი ადგილი რომ ვერ ნახა, იქვე გაჩერდა და ხელი მაგრად ჩასჭიდა მონიკელებულ სახელურს. იგი ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა და ბარბაცებდა.

უკანა სკამებზე მჯდომმა მგზავრებმა შენიშნეს ქალის გასაჭირი და მეორე სკამზე მჯდომ ყმაწვილებს მიაჩერდნენ. მათ კი განგებ ფანჯარაში დაიწყეს ცქერა, ვითომ ვერ ვამჩნევთ აქ რა ხდებაო.

მათს ასეთ საქციელს მოჰყვა მოხუც მგზავრთა აღშფოთებული შეძახილები:

— სად გაიზარდნენ?!..

— არა რცხვენიათ?

წინა სკამზე მჯდომმა საბჯენ ჯოხიანმა კაცმა ერთი კი გადახედა უკან მჯდომ ყმაწვილებს და წამოიწია. მან ცალი ხელი სახელურს ჩასჭიდა, მეორე — საბჯენ ჯოხს, და წამოდგა, რათა ბავშვიანი ქალისათვის ადგილი დაეთმო, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა და ისევ სკამზე დაეცა. ამ მარცხმა ცალფეხა ვაჟკაცი შეაწუხა. მას სახე დაენისლა, მაგრამ მალე დასძლია თავისი განცდა, სახეზე მტკიცე იერი გამოიხატა, მთელი ენერგია დაძაბა, რაც შეეძლო მკვირცხლად წამოდგა და ისე მიმართა ბავშვიან ქალს:

— დაბრძანდით, ქალბატონო!

ქალმა შენიშნა ხეიბრის წვალება, ამჯობინა თვითონ მდგარიყო ფეხზე და, შეწუხებულმა მიუგო:

— რასა ბრძანებთ, თქვენ თვითონ დაბრძანდით, მე არა მიჭირს!..

ამ პასუხზე ცალფეხა გაფითრდა. იგი ნაცემი ბავშვივით მოიკუნტა და წამით გვერდზე გაიხედა, თითქოს სამარცხვინო საქმე ჩაედინოს. როცა მან სახე შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბრუნა, შენიშნეს, რომ მისი თვალები ოდნავ შენამულიყო, ხოლო მშს სახეზე ძნელი ამოსაკითხი არ იყო შემდეგი: „ნუ გამახსენებთ ჩემს ინვალიდობას, ნუ გამაწბილებთ... დაბრძანდით, ქალბატონო!...“

ქალი თითქოს მიხვდა ყველაფერს და, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მორცხვად, მაგრამ ლაზათიანად გაიღიმა, თითქოს ეს ღიმილი მოაშუშებდა ინვალიდის გულის იარას. ეგებ ამისი მიზეზიც იყო, რომ მან მართლაც ხმა ამოიღო და ისე მიმართა ბავშვიან ქალს, რომ ქვაც მოლბებოდა.

— თუ შეიძლება, დაბრძანდით!..

ამ სიტყვებით მას თითქოს თავისი ღირსების, კაცობის გადარჩენა სურდა.

ამ სცენამ მგზავრების ყურადღება მიიჯაჭვა. ისინი უყურებდნენ ცალფეხა ვაუკაცს, რომელსაც ერთი ხელი სახელურისათვის ჩაევლო, იღლიაში საბჯენი ჯოხი ამოედო და იდგა მთელი ღირსების შეგნებით, ამაყად.

არ გასულა მცირე ხანი და ყველა მგზავრი, თითქოს რაღაც ნიშანი მისცესო, ერთდროულად წამოდგა:

— დაბრძანდით, ბატონო! — და ყველამ თავის სკამზე ანიშნა.

მათ შორის იყო ის ორი ყმაწვილიც.

ბ. ქართველიშვილი ნახატები რ. ცუცქირიძისა

სიგმარი

გია ფიზიკის დიდი მოტრფიალეა. აი, დღესაც დიდი ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელს, რომელიც ხახუნის შესახებ ესაუბრათ. როდესაც გია სკოლიდან ბრუნდებოდა, უკვე საღამოვდებოდა. თოვდა. ფიფქები ელექტრონის შუქზე ალმასებივით ელავდა. გია კი მაინც ხახუნზე ფიქრობდა. ავტომანქანამ ჩაუქროლა. გიამ თვალი გააყოლა, შეჩერდა და გაიფიქრა: «რამდენი ენერგია იხარჯება ძრავაში ხახუნის დასაძლევად!» ამ დროს ფეხი აუსრიალდა და უნებურად იქით გადავიდა, სადაც თოვლზე ნაცარი ეყარა.

სადილი ისე გაათავა,—ვერც კი გაიგო. მამა რაღაც საინტერესო ამბავს ყვებოდა, მაგრამ გიამ ვერც ის გაიგო. თვალწინ ხახუნი ედგა—რაღაც ბოროტი არსების მაგვარი. მას უამრავი კლანჭი ჰქონდა, რომლითაც ხანძრავის ღერძებს ჩააფრინდებოდა, ხან დგუშებს, და ადამიანი იძულებული ხდებოდა მის მოსპობაზე ეზრუნა.

«რა ბედნიერება იქნებოდა, ხახუნი რომ არ არსებობდეს! როდესაც გავიზრდები, მე მოვსპობ მას!»—ოცნებით წარმოთქვა გიამ და საბანში გაეხვია.

სწორედ აქ მოხდა რაღაც უჩვეულო. გიამ თვალები გაახილა და თოვლიანი ღამის ნაცვლად მოკაშკაშე ზაფხულის დილა შერჩა ხელში. ერთმა ამბავმა ხომ მთლად გააოცა: არც საბანი ეხურა და ბალიშიც ვიღაცას გამოეცალა მისთვის. გიამ წამოჯდომა დააპირა, მაგრამ ლოგინიდან გადმოსრიალდა და იატაკზე დაეცა.

გია თვალს ვერ უჯერებდა. როდესაც წვებოდა, ოთახი დალაგებული იყო, ახლა კი წიგნების კარადა საწერ მაგიდას მისდგომოდა ერთ კუთხეში, კარადის კარი დია იყო, წიგნები იატაკზე ეყარა, ზოგი მათგანი სკამების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშაც შეცვენილიყო... ფეხსაცმელი კარადის ქვეშ დაინახა... საერთოდ, ოთახში არეულობა იყო.

გიას ჩამოვარდნის ხმაზე, მის პატარა დაიკოს—თინასაც გამოეღვიძა, ბალიშიდან თავი წამოსწია და ისიც იატაკზე გადმოსრიალდა. ამან გოგონა გააკვირვა და შეაშინა კიდეც. იატაკზე წამოჯდომა ვერც კი მოასწრო, რომ ბალიში გვერდით დაეცა, ლოგინი ზურგში დაეტაკა და თინა თავისდაუნებურად კარადისა და მაგიდისაკენ გასრიალდა.

— გია, რა ხდება?

— არ ვიცი, თინიკო!—მიუგო გიამ. რომელიც ამაოდ ცდილობდა ფეხზე წამოდგომას,

მიუხედავად იმისა, რომ არცერთი არ იყო სიცილის გუნებაზე, მაინც გულიანად გადიხარხარეს, როცა თავიანთ ხატაურას მოჰკრეს თვალი. კატა ცდილობდა ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ ფეხები ეშლებოდა და ხან მუცლით ეცემოდა, ხან გვერდზე ვარდებოდა—კნაოდა და ბრაზობდა.

— გია, მითხარი, რა ამბავია, ვინ არია ყველაფერი?

— მოიცა, თინა, მეც არ ვიცი ვისი ბრალია.

— ჩემი!—შეესიტყვა ბავშვებს ვიღაც უცნობი.

ეს კი ყველაფერს აღემატებოდა. როდესაც წვებოდნენ, ოთახში არავინ იყო.

— ჩემიო?—შეკითხა გია.—ვინა ხარ?

— ხა-ხუ-ნი! ხა, ხა, ხა!—გადაიხარხარა უცნობმა. ბავშვებმა იქით გაიხედეს, საიდანაც ლაპარაკი მოესმათ, და ორივეს თვალები გაუფართოვდა. იქ, ოთახის მეორე ბოლოში, ვიღაც უცნობი იდგა—მრავალხელიანი არსება. ხელები ჯიბეებში ელაგა და ფანჯრის ჩარჩოს მიჰყრდნობოდა.

— მე ვარ. ხახუნი!

გიას გადაავიწყდა ყველაფერი. ყოჩაღად წამოხტა ფეხზე და უცნობს მიმართა:

— მაშ, შენა ხარ ხახუნი?!

— მე ვარ!

— შენ მავნე ხარ! ადამიანები რამდენი საუკუნეა შენს მოსპობაზე ფიქრობენ!—ერთი ამოსუნთქვით მიაყარა გიამ.

— ვიცი! აი, ნატვრა შეგისრულე! დღეიდან მე გავქრები, დედამიწაზე ხახუნი მოისპობა.

გიას თვალები გაუბრწყინდა.

— მართალს ამბობ?

— მართალს! აი, კიდევ რამდენიმე წუთი—და წავალ! მაგრამ, გახსოვდეს, მე არც ისეთი ბოროტი ვარ, როგორც გგონია. ამიტომ ერთ უფლებას გიტოვებ: თუ ჩემი დაბრუნება მოინდომო...

— ვის რად უნდა შენი დაბრუნება!—გააწყვეტინა გიამ.—ოღონდ შენ წადი და, ყველა მადლობას გეტყვის!

— კარგი! მაშ, ასე! მე მივდივარ, მაგრამ თუ მოისურვებ ჩემს დაბრუნებას, სამჯერ შემოჰკარი ტაში და დამიძახე. მე მოვალ და ხახუნი ისევ გაჩნდება. მაგრამ, თუ კიდევ ბოროტად მოგეჩვენები და ისევ მოისურვებ ჩემს წასვლას,—მაშინ კი სამუდამოდ გავქრები! მაშ, ნახვამდის, გია!

ამ სიტყვებთან ერთად ხახუნი გაუჩინარდა და იმავ წამს გია და თინიკო ისევ იატაკზე აღმოჩნდნენ, ისევ გასრიალდნენ და კარადას მიაწყდნენ.

ბავშვებმა კარადის კარს წაავლეს ხელი და წამოდგომა სცადეს, მაგრამ ძლივს შეაკავეს კარი, რომელიც მოსცილდა კარადას და იატაკზე ეცემოდა.

კიდევ კარგი, რომ გია მშვენიერი მოციგურეა; რის ვაი-ვაგლახით წამოდგა ფეხზე და საწოლისაკენ წაბარბაცდა.

— გია, მიშველე!—შემოესმა გიას თინიკოს ხმა. მიიხედა და ისევ დაეცა.

— რა იყო, თინა?!

— აი, შეხედე, ფეხსაცმლის ზონარსა ვხსნიდი, ის კი თევზივით გამოსრიალდა. მინდა გავუყარო, არაფერი გამოდის.

— მოიცა, თინიკო, მოგეხმარები.—გიამ ფეხსაცმელს წაავლო ხელი, მაგრამ ზონარს ვინ ჩივის, ლანჩა ისე

მოვარდა, თითქოს მიკერებული არც კი ყოფილიყო. შემდეგ კი ნაკერებზე დაიშალა, ასეთივე ბედი ეწვია გიას ფეხსაცმელსაც.

— გია, გია! შეხედე, წყალი!

გიამ მიიხედა და მართლაც შეამჩნია, რომ ოთახში სამზარეულოდან წყალი შემოდიოდა.

სამზარეულოშიც ტბად იდგა წყალი, ყველაფერი არეული იყო, ქვაბები წყალში ტივტივებდნენ, თეფშების ნამსხვრევები კენჭებივით ელავდნენ წყალში, ონკანი ვიღაცას გაეღო და წყალი მოსჩქეფდა. გია მიუახლოვდა ონკანს, დაკეტა. მაგრამ აუშვა თუ არა ხელი, ონკანი თავისთავად დატრიალდა და წყალი ძველებური სიძლიერით წამოვიდა,

— გია, მოდი!—შემოესმა გიას თინიკოს ხმა.

წვალებით გაემართა ოთახისაკენ, რომელიც ახლა მთლად დაეფარა წყალს, წიგნები დამბალიყო, ხატაურა ცდილობდა სკამზე შეხტომას, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა.

— სადა ხარ, თინა?

— აივანზე. მოდი, რა გაჩვენო!

გია აივანზე გავიდა და იქ ნახა, რაც ნახა!

სწორედ შუა ქუჩაში, ავტომანქანა იყო გაჩერებული. უკანა ბორბლები სწრაფად ბრუნავდნენ, მანქანა კი ადგილიდან ვერ იძროდა. მაღაზიის აბრები დაბლა ეყარა, ვიტრინებში მთელი არეულობა იყო, ყველა საქონელი ერთად იყო მიხროვებული კუთხეში. პირდაპირ ფილაქანზე ვიღაც ქალი იჯდა და ამაოდ ცდილობდა წამოდგომას. ეტყობა, ბაზრიდან ბრუნდებოდა, რადგან გვერდზე ცარიელი ჩანთა ედო, კარტოფილები აქეთ-იქით მიმოფანტულიყვნენ. წვერზე შემდგარი სტაფილოები ჩიკორებივით ბზრიალებდნენ, კომბოსტო ხომ მთლად გადარეულივით მიგორავდა და მიხტოდა დაღმართზე.

— გია, ნახე რა ხდება!—შესძახა თინამ და თითი მარჯვნივ გაიშვირა. იქ ახალი ოთხსართულიანი სახლის სახურავიდან კრამიტები სეტყვასავით მოსრიალებდნენ მიწაზე ეცემოდნენ და ნამტვრევები წყლის წვეთებივით აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა. მათ პირდაპირ, ეზოში, ჯიხურა დაიშალა, მტვერი ავარდა. ეზოში გაფენილი სარეცხი თოკებთან ერთად მიწაზე გაიშალა. ონკანი იქაც გახსნილი იყო და წყალი თქრიალით მოდიოდა. მეეზოვე ამაოდ ცდილობდა წონასწორობის დაჭერას, ჯერ დაჯდა, შემდეგ ცოცხი გაუვარდა ხელიდან, რომელიც დაცემისთანავე დაიშალა, და გაიფანტა.

— გია, რა ხდება?—ნამტირალევი ხმით შეეკითხა თინა.

— როგორცა ჩანს, ეს იმის ბრალია—ხახუნი რომ გაქრა.

— ვაიმე, რაღა უნდა ვქნათ ახლა!—ატირდა თინიკო.

— მოიცა თინა, ვიფიქრო!—გიამ შუბლი შეიჭმუხნა, მაგრამ მალე სახე გაუნათდა.—ნუ ტირი, თინა, ხახუნმა ხომ მასწავლა, როგორ უნდა გამოვუძახო.—სამჯერ მაგრად შემოჰკრა ტაში და ხმამაღლა დაიძახა.

— ხახუნო, მოდი!...

გიას თავისსავე ხმაზე გამოეღვიძა. უკვე გათენებული იყო. გიას დაიკო ლოგინში წამოსკუპული ტაშს უკრავდა... გიამ ოთახს თვალი მოავლო, ყველაფერი რიგზე იყო, ხატაურა ტკბილად თვლემდა ღუმელთან. ტანსაცმელიც იქვე ელაგა, როგორც დატოვა. არც წყალი იღვრებოდა, არც კარები ცვიოდა. ფანჯარაში კი ზამთრის მზით გაბრწყინებული თოვლი თითქოს ეპატიჟებოდა: «მოდი, გია, იცურავე, აქ ხახუნი ძალიან მცირეაო.»

გია წამოხტა და ფანჯარასთან მიირბინა, ქუჩაში სრული წესრიგი იყო. მანქანები, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩები მოყინული იყო, მსუბუქად დასრიალებდნენ. ზოგ მათგანს ჯაჭვი ეხვია გარსაკრებზე. ქუჩებზე ბლომად ეყარა ნაცარი.

— ეჰ, ხახუნი თურმე საჭირო ყოფილა! აგერ ადამიანი ხელოვნურადაც კი ქმნის მას.—თქვა გიამ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

751 წლის წინათ...

ეს მოხდა 1206 წლის ზაფხულში. ამ ომის შესახებ რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური სახელმწიფო იყო მთელს წინა აზიაში. მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები ნიკობსით დარუბანდამდე სწვდებოდა. აკადემიკოს ბარტოლდს გამოანგარიშებული აქვს, რომ საქართველოს მარტო ფინანსური შემოსავალი, ინგლისის და საფრანგეთის ერთად აღებულ ფინანსურ შემოსავალს აღემატებოდა.

ბუნებრივია, რომ ასეთ ძლიერ სახელმწიფოსათვის საგარეო შემოსევებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ თურქულ-მაჰმადიანური სახელმწიფოების შემოსევების წინააღმდეგ ქართველები სომხებსა და აზერბაიჯანელებთან ერთად ენერგიულ ზომებს იღებდნენ: იკავებდნენ და ამაგრებდნენ სასაზღვრო ციხე-სიმაგრეებს. ამ მიზნით აიღეს 1206 წელს კარი და საგანგებოდ გაამაგრეს. ამ ამბავს მტრულად შეხვდა რუმის სულთანი რუქნადინი (ნუქარდინი). კავშირი შეკრა მაჰმადიან სახელმწიფოებთან და დიდი კოალიცია შეადგინა. სარწმუნო ცნობებით რუქნადინის არმიაში 400000 კაცი იყო. ის არწმუნებდა თავის მოკავშირეებს, რომ საქართველოში ქვას ქვაზე არ დატოვებდა. მას გამარჯვების სრული რწმენა ჰქონდა, და იოლი გამარჯვების მანიით შეპყრობილი თამარს მუქარის [illegible]ილს უგზავნიდა: „შენ გიბრძანებია ქართველთათვის აღებად [illegible]ალი მუსულმანთა ხოცად". ამიტომაო, განაგრძობდა სულთანი, „აწ მე წარმომიცლენია ყოველი მხედრობა ჩემი და აღვხოცო ყოველი მამაკაცი მაგა ქვეყანისა და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს რომელი წინა მომეგებოს, თაყუანი სცეს ჩათრსა ჩემსა... ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მაჰმადი აღიარესო". ეს თავხედური წერილი რუქნადინმა სპეციალური მოციქულის ხელით გაუგზავნა თამარს. ქართველებმა ელჩი თავაზიანად მიიღეს, სასახლეში შეიყვანეს და თამარს წარუდგინეს. ელჩი პატრონივით უზრდელი გამოდგა, თამარს უხეში სიტყვებით მიმართა: „უკეთუ მეფემან დაუტეოს სჯული, იპყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთანისა".

ეს უკვე მეტის მეტი იყო. იქ მყოფ ზაქარია მხარგრძელს მოთშინების ფიალა აევსო, ვეღარ მოითმინა და უზრდელ ელჩს ისეთი მაგრად „უხეთქა ხელითა პირსა", რომ ელჩი „ვითარცა მკუდარი დაეცა და იდვა". ზაქარიამ ყურზე ხელი მოავლო, ფეხზე დააყენა და უთხრა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისაო", ესე იგი, ელჩი რომ არ იყო, ჯერ ენას მოგაჭრიდი და მერე თავსაო, მაგრამ ელჩი ხელშეუხებლად ითვლებოდა და მას მხოლოდ „სილის ხეთქება" ან როგორც ახლა იტყვიან „სილის გაწვნა" აკმარეს, პატივი სცეს, დაუპურეს, საჩუქრები უბოძეს და საპასუხო წერილით პატრონთან გაგზავნეს. თამარი თავის საპასუხო წერილში რუქნადინს მოაგონებდა რომ ქალის, და მით უმეტეს მეფე-ქალის აუგად მოხსენება, სხვა რომ არა იყოს რა, უზრდელობაა და რადგან არ დაგიშლია და ომი მოგინდომებია, აი ეს ბურთი და მოედანი, ჩვენ მზად დაგხვდებითო.

ქართველებმა სასწრაფოდ დარბაზის სხდომა მოიწვიეს, ნიკობსით დარუბანდამდე ჯარის შეყრა ბრძანეს და რუქნადინზე სალაშქროდ ბახიანისაკენ გაემგზავრნენ. ქართველთა ჯარი ბორჯომის ხეობით ვარძიაში მივიდა, აქ ჯარის საერთო სარდლობა თამარმა თავის ქმარს—დავით სოსლანს ჩააბარა და თვითონ ოძრახეში დაისადგურა.

ქართველთა ჯარი სამ ნაწილად იყო გაყოფილი: მეწინავედ, მარჯვენა და მარცხენა ფალანგებად. მარჯვენა ფრთას იმერელნი შეადგენდნენ, ხოლო მარცხენა ფრთას—ამერელნი. ქართველთა ბრძოლის ძირითად ხერხს მტრებზე მოულოდნელად თავდასხმა წარმოადგენდა. დაზვერვამ გამოარკვია, რომ მტერი განცხრომას მისცემოდა და ქართველთა შიში არ ჰქონდა. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს ქართველებმა და მტერს მოულოდნელად დაესხნენ. მტერი ახლა გონს მოვიდა და იარაღი აისხა. რადგან პირველი ბრძოლა ქართველთა მეწინავე ნაწილმა დაიწყო და ძირითადი ნაწილი ჯერ ომში არ იყო ჩაბმული, მტერმა შეავიწროვა ქართველები, მაგრამ აქ ქართულ სამხედრო ხელოვნების ნაცადმა ხერხმა გასჭრა.

ზაქარია გაგელმა, თაყაიადინ თმოგველმა, შალვა და ივანე თორელებმა ბრძანება გასცეს და ცხენოსანი ნაწილი ქვეითად გადაქციეს; ამას მოითხოვდა ბრძოლის შექმნილი ვითარება, ხოლო ცხენოსანთა რაზმები სხვა მხარეს გადაისროლეს, რათა ცხენოსნებს ქვეითად მებრძოლებისათვის ხელი არ შეეშალათ. ამასობაში დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის ცხენოსანთა ნაწილებმა მტერს სხვადასხვა მხრიდან დაარტყეს.

ბრძოლის ასეთმა ტაქტიკამ თავისი გაიტანა. მტერს თავბრუ დაესხა და უწესრიგოდ იწყო უკუსვლა. ქართველი მეისტორიე შენიშნავს, რომ „ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა ლტოლვილიო". უკუქცეულ მტრის ლაშქარს დაედევნენ ქართველები „და ვიდრე ღამემდე დევნა უყუეს და ხოცეს". მტრის მთელი ქონება ჩვენიანებს დარჩათ. რუქნადინი, რომელიც „მთასავით მაღალ" ცხენზე იჯდა, სირცხვილეული გაიქცა.

ასე დამთავრდა ბასიანის ომი. ეს იყო ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება. ბასიანის ომი ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის ბრწყინვალე ფურცელთაგანია. ამ ომმა ერთხელ კიდევ დაანახა მტერს, თუ რა დიდია ქართველთა ძალა, ხოლო ქართველთათვის აშკარა გახდა, რომ თუ ერთპირობა იქნება, არავითარი მტერი საშიში არ არის.

დ. გვრიტიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

პასიანის პოემა

ლადო ასათიანი

ნახატები კ. მახარაძისა

1

დედაქალაქში მოვიდა დესპანი გამოჩენილი,
ნუქარდინს გამოეგზავნა თამარისათვის წერილი.
ენისგან უთქმელს, უკადრისს იწერებოდა მურდალი:
„მე, იკონიის სასულთნოს სახელოვანი სულთანი,
გამცნობ ქართველთა მეფესა (მეფეთა გადამჯეგელი).
რომ დედაკაცი ყოველი არის შენსავით რეგვენი,
იქამდი როგორ ამაღლდი, ან ისე როგორ გალაღდი,
რომ დღეს სუყველა გმორჩილებს, ვისაც მონებდი მანამდი,
რომ ქვეყანაზე გაისმის შენი ჯარების გნიასი!
ლამის სირცხვილით დავიწვათ: თავზე გვაზიხარ დიაცი!
ან რა უფლებით გაბედე ხელში იმ ხმალის დაჭერა,
რომელიც დიდმა ალაჰმა მარტოდენ ჩვენთვის გაჭედა?
მარტოდენ ჩვენთვის გაჭედა და ვით იქნება, ასპიტო,
რომ იმით ქრისტიანებმა მუსულმანები გაწყვიტონ?!
მუსულმანები გაწყვიტონ და პირჯვრის გადასახვამდი
აჰკრიფონ გაუგონარი ბეგარა-გადასახადი?
ჰოდა, რადგანაც საკუთარ ბუნაგში აღარ ჩერდები,
ახლა მე შენზე მოვდივარ ჩემი მამაცი მხედრებით!
გამომიწვრთნია ომისთვის მშვიდობას შეუჩვეველნი,
წინ მანქანები მომიძღვის სიმაგრეების მნგრეველნი,
უნდა იმგვარად დავლეწოთ თქვენთა ციხეთა ბურჯები,
რომ ხორნაბუჯში ხორნაბუჯს ეძებდეს ხორნაბუჯელი.
რომ დაგავიწყდეთ მარადის ლახვარ-მახვილის აღება,
რომ მზეს კვლავ ვეღარ შესცინონ ქართულმა ბაირაღებმა!
მაგრამ, უგბილო დიაცო, თუ ჩემი ჯარის მოსვლამდი
შენს რჯულს უარყოფ, რომელსაც მუდამ დიდებით ჰმოსავდი,
მაჰმადიანი გახდები, კარავში გამოცხადდები, —
შეგიწყალებ და შეგინდობ, სულაც არ გაგიცხარდები,
ეს მხოლოდ შენთვის, ლამაზო, სხვას არვის ვაძლევ არჩევანს,
ისე დავანგრევ ქვეყანას, მთხრობელიც აღარ დარჩება!“

2

ცას ჰგავდა ვარსკვლავიანსა სამეფო სახლის თავანი,
ტახტზე დიდბუნებოვანი შვენოდა მეფე თამარი.
სულთანის გამოგზავნილი ხელში ეჭირა წერილი —
დიდი ტრიალი მინდორი, ცხენთაგან გადათელილი.
წინ ელჩი იდგა დაღლილი მგზავრობის დავიდარაბით,
(სარკმლიდან ჩანდა, ეზოში ლომებს აჭმევდა არაბი).
ბატონკაცური დუმილით დუმდა დიადი დარბაზი.
წითელი ოქრო გინდოდა, თუ ზღაპრად თქმული ალმასი!
მდიდრულ კედლებზე ელავდა ინდოეთი და ელადა,
და სტავრა არაბეთისა ცეცხლის ალივით ღელავდა...
ეს ნაკადული ნანაობს, თუ ყანა ნათავთავარი? —
სულთანის წერილს კითხულობს შუბლშეჭმუხნილი თამარი.
„ნეტავი დღესვე მიბრძანოს ურჯულოებზე თარეში!“ —
ფიქრობს მხარგრძელი და თავის პატრონს შეჰყურებს თვალებში.
მიწყდა ხმა ნაკადულისა — მეფემ გადადო წერილი
და ელჩისაკენ მიბრუნდა შველივით ყელმოღერილი:
— სხვას კიდევ რაღას გვიბრძანებს სახელოვანი ნუქარდინ,
ჯერ არც კი ამხედრებულა, ქვეყანა შესძრა მუქარით.
— სხვა ესეც შემოგითვალათ: „თუ რჯულს დასტოვებს თამარი,
შევინდო, ცოლად შევირთო, ვუბოძო საქმრო ქამარი,
მაგრამ თუ ასე არ იზამს, მტერი ყოფილა თავისა:
რჯულს ძალით შევაცვლევინებ და მერე ხასად დავისვამ...“
სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აევსო,
ერთი ხმამაღლა შეჰკივლა: — რა სიტყვით სწამლავ ჰაერსო! —
და პატრონივით ენაბილწს სილა გააწნა ისეთი,
გონდაკარგული დაასკდა იატაკს ეშმაკისერთი.
წარბები შეკრა თამარმა: რად მოეპყარო უშვერად?
— თავსაც მოვჭრიდი, მეფეო, მაგრამ ელჩობამ უშველა!
რაინდი მეფის ძვირისმთქმელს ბევრს როდი ალაპარაკებს:
— დილეგში წაიყვანეთო! — კუშტად უბრძანა არაბებს.
ფეხზე წამოდგა მნათობი, მეფეთა მეფე თამარი.
ამირსპასალარს მიჰმართა: საზრუნავი გვაქვს მთავარი,
მტრის ღირსეულად დახვედრა ნუ გვეგონება ადვილი,
ამაღამავე მოვაწყოთ დიდებულების თათბირი.
გადაწყდეს, სეფე ჯარს ვენდოთ, თუ ქუდზე კაცი შევყაროთ,
რომ თურქმა შემოსეულმა ბოლოს ვერ დაიმკვეხაროს,
თორემ ტვინამღერებული ქვეყანას საფრთხეს უქადის.
გმირულად, მამაპაპურად დავხვდეთ სისხლისმსმელ ნუქარდინს.
— ნება შენია, მეფეო, — დინჯად ეტყოდა მხარგრძელი, —
ომი მომწყურდა, ამ ქვეყნად უომრად ვეღარ გავძელი.
დარბაზის ერი მოვიხმოთ და ასჯერ განსჯილ ბრძანებით,
ბრძოლის ველისკენ ვაფრინოთ ჩვენი სამშობლოს ჯარები! —
ომი უნდოდა მხარგრძელსა, ჯაჭვის პერანგის მორგება,
ვაჟკაცსა სახელიანსა ისე არ დაედგომება.
წინ ჩაუქროლეს განვლილმა, გაციებულმა ომებმა...
ეზოში ზარბაზნებივით დაიღრიალეს ლომებმა.

3

ვინც კი იარაღს ატარებს, გულითადია მეფისა,
ვინც დროშას გორგასლიანსა დაუჩოქა და შეჰფიცა,
ყველა ლაშქარში ვაჟკაცი, ერთგული ვინც გვეგულება, —
იმსჯელეს და გადაწყვიტეს მეფემ და დიდებულებმა.
აიღო მინა რხეული (ამბობდნენ შოთას ნაჩუქარს),
დაჯდა თამარი და სულთანს ასე მისწერა პასუხად:
— რა გითქვამს, რა მოგიჭორავს, რას მეშარები შორიდან,
ტყუილ-უბრალოდ ცილს მწამებ, ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა;
ალბათ, სისხლისღვრა მოგინდა, თორემ, მაშ, რისთვის ისურვე,
რომ მოგეჩმახა ასეთი უმაგალითო სიცრუე?!
ჰოი, უგნურო ნუქარდინ, წინ მიძევს შენი ბარათი,
კარავში მოსვლას მიბრძანებ კაციჭამია ჯალათი...
მოვდივარ, მაგრამ სხვაგვარად, თავად გაიგე და მიხვდი,
მოვდივარ ჩემის ლაშქრითა, თუ ვაჟკაცი სარ, დამიხვდი!
მოვდივარ შენს დასასჯელად, თავლაფდასხმულო, თავნებავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგამარცხებ და დაგიცხრობ მაგ უშნო ამპარტავნებას!“

. . . . . .

მეფე მსახურებს ეტყოდა: სასწრაფოდ დესპანს უხმეთო.
შემოიყვანეს დილეგში ღამენათევი, უღმერთო.
უცხო სამოსით შემოსეს შავს მტკვერში ამოგანგლილი
და სიამაყით გადასცეს მას საპასუხო გრაგნილი.
გულუხვად დაასჩუქრეს, სხვას ვის არგუნეს იმდენი,
ფეხმარდი ლაფშა მიართვეს, წავიდა დიდის დიდებით.
მიჰქონდა ოქრო და ვარცხლი, თვლები და მარგალიტები
და ყბაზე დამღა — მხარგრძელის კელაპტრის სიმსხო თითები.

4

შეკრბა სრულიად სამეფო სპა იმერთა და ამერთა,
ზღვის ფსკერზე ქვიშას, ზეცაში ვარსკვლავებს გადაამეტა.
ერთ ძლიერ ჯარად შეკრული, დაუშლელ-განუფანტავი,
ქართველი მამულიშვილი ნიკოფსით დარუბანდამდი.
ჯარები ოვსთა, ყივჩაღთა, კახთა და ჰერთა გულადთა,
ერთმანეთს დატოლებულნი, ფიცვერცხლნაჭამი ძმურადა,
ქართლის, მესხეთის, სომხეთის ვაჟები მალხაზ-მალხაზი,
თორელნი, ტაოელები, შავშ-კლარჯები და აფხაზნი,
ფიცხი და მკვირცხლი ლაზები, სვანები ბუმბერაზები
და რაჭა-თაკვერ-არგვეთის მამაცი სუმპერრაზმები.
აბორგდნენ, აბობოქარდნენ, როგორც ზვირთები არაქსის,
და მეფის ირგვლივ მოგროვდნენ ვარძიის ციხე-ქალაქში.
მეფემ ფრთებგანათებული სამეფო დროშა გაშალა.
და საქართველოს უძლეველ ჯარს დაულოცა გზა-შარა.
თავად კი ლოცვა-კურთხევით ქალაქ ოძრახეს წავიდა,
თავს დაჰნათოდა სულმნათსა მაისის ცა ვარსკვლავითა.

5

ერთ შესახედად კმაროდა ლაშქარი ომს მიმავალი:
წინ მიუძღოდა სოსლანი — ვაჟკაცი ჰაეროვანი.
სოსლანის გვერდით პირქუში მხარგრძელი განგაცვიფრებდათ.
იქვე ნახავდით შალვას და ივანეს ახალციხელთა,
უკან პორფირით მოსილი მისდევდათ ჯვარისმტვირთველი.
ნება-ნებაზე მიჰქროდნენ ქართველი ჯარის ზვირთები.
ყველა გულმარიხიანი, ერთიც კი არა ჯაბანი...
ცხენთა და კაცთა სიმრავლით იზნიქებოდა მთა-ბარი.

6

— სიტყვა და საქმე ერთი მაქვს, ჩვეული არ ვარ ცრუ ქადილს,—
ეთქვა რა, თავის მხედრობა წამოეყვანა ნუქარდინს.
ბასიანს იდგა ბანაკად, რიცხვით რამდენი, ვინ იცის?
იდგა და გასალაშქრებლად ემზადებოდა დილისთვის...
დილაც გათენდა და თეორად კარვებზე დასხდნენ ნისლები,
ჯერ კიდევ სძინავს სულთანსა თავისი დარბაისლებით.
გალაღებულა უგნური, რა დღე მოელის არა სჯის,
კარვების არემარეში ერთიც არ ფხიზლობს დარაჯი.
ქართველი ჯარის სარდლებმა მარჯვე შემთხვევა იხელთეს
და ცხენოსანი რაზმებით მწყობრად დაიძრნენ იქეთკენ.

ცოტა ხანს წყნარად ვიდოდნენ, მოკლედ იჭერდნენ აღვირთა,
მაგრამ როდესაც სულთანის ბანაკში კაცი აყვირდა:
წამოდექითო, მხედრებო, სპა დაგვესხაო ურიცხვი, —
სოსლანმა ჯარებს მიჰმართა:—„სამშობლო ქვეყნის გულისთვის!“—
ხმალი იშიშვლა, ლაშქარში გადაერია ქვაგული.
ცეცხლს ჰყრიდა ბუნჯგალ-ბუნჯგალსა მისი ფოლადის ფრანგული.
ცალკერძ მხარგრძელმა დასჭექა, ცალკერძ თორელმა დასძახა
და გულმკერდგახურებულნი მტერს მიეხალნენ მხარდამხარ.
წამოიშალა სულთანის ბანაკი ციებ-ცხელებით,
შეირტყეს ისარ-კაპარჭი, შეათამაშეს ცხენები.
შეუზახნეს და შეიბნენ, ომი სად თქმულა ასეთი:
ილეწებოდა ფოლადი უჭედელი და ნაჭედი.
დასცხეს ერთმანეთს ისრები და წაუშინეს წათები.
— ჩაფხუტი ჩამოიწიე, თორემ უომრად წახდები! —
გასძახა ახალციხელმა შალვამ თავის ძმა ივანეს.
როცა სულთანის კაცები გაცოფებულნი მივარდნენ.
მაგრამ ხმლის ორი ელვა — და დაეცნენ მოძალადენი,
სისხლის მდინარემ წაიღო მათი ფარ-მუზარადები.
კალთამდე ჩამოაფხრიწეს შალვას ავაზას ტყავ-კაბა,
როცა ძმის მისაშველებლად ცხენ-კაცთა ტევრი გაკაფა,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი გაგრძელდა...
        გაძნელდა...
ფოლადს სცვივოდა ტალები.
ამოიხაფრა ჰაერი ნამსხვრევი შუბის ტარებით.
მოითარეშა სიკვდილმა სიცოცხლის გასაგისები,
ყოველი მხრისკენ აფრინა სისხლით დაბეჭვრალი ისრები.
აგერ შეიბნენ ორ-ორი — ურთერთს ახეთქეს ჰოროლი.
აგერ ვეფხვივით გაქანდა მხედარი შეურიგალი,
მას ასათიძე გრიგოლი შემოხვდა როგორც გრიგალი.
გულში გაურჭო მახვილი, „ვაჰმე დედაო“, იძახდა.
ცეცხლწაკიდებულ გორაკზე
        დასტა იბრძოდა ყივჩაღთა.
წამოიშალნენ ტალღებად მძვინვარე სისხლის ღვარები
და გაიტაცეს ცხენდაცხენ ივანე ციხისჯვარელი.
და რაი ნახეს, რომ რაინდს გზა-კვალი გაუტიალდა,
აღმართეს იქცევისები ბათ თურქთა ჩაფხუტიანთა.
ერთმა ახმახმა შორიდან ისრით გაუპო გმირს წარბი,
მაგრამ მიუხტა ივანე გასაოცარი სისწრაფით
და ისე დაჭკრა კეფაზე ხანჯალი გაუღუნველი,
რომ ტვინი მისი ჰაერში ავარდა, როგორც ღრუბელი.
და მერე, როცა მკლავმარდი წამოეშველა გაგელი,
ერთად ეკვეთნენ უკეთურთ მამულის მოამაგენი.
მუსრეს და მუსრი გაავლეს... მოკლულთა დადგა ჯებირი.
მაინც ვერ გაძღა ბრძოლითა მარჯვენაწარბგაჩეხილი.
ომი გაგრძელდა...
        გაძნელდა...
        ჭენებით განახელები,
წინმბრძოლ სპასალარ-სპასპეტთა ყველას მოუკლეს ცხენები.
დაიქვეითეს მაშინვე სხვა დანარჩენმა ვაჟებმა
და სარდლებს გვერდში დაუდგნენ რიგების გასაკაჟებლად.
— ცხენოსანებო, ისმინეთ, ეს მე გიბრძანებთ თვითეულს,
მარცხენა მხრისკენ მობრუნდით უტიეთ დაქვეითებულთ! —
ბრძანა სოსლანმა და ჯარი მიატრიალა მხარმარცხნივ,
—ქვეითნო, მარჯვნივ სასწრაფოდ, თორემ უომრად დავმარცხდით!
ხმა მიაწვდინა მხარგრძელმა არევ-დარეულ ქვეითთა,
ჯარი ერთ ხაზზე გაეწყო და ომი ისევ შენივთდა,
ისევ შეიქმნა მტრის თავზე ფხიანი ხმლების ჯახება,
შეშინებულმა სულთანმა იკადრა უკან დახევა.
ისევ მიჰმართეს სარდლებმა მრავალგზის ნაცად შევარდნებს
და ნუქარდინის ლაშქარში ისევ გულდაგულ შევარდნენ.
გასკდა მტრის ჯარის სიმრავლე, მტვრის ბუქი დადგა სვეტებად,
გაუგონარი რამ იყო უკანასკნელი შეტევა!
ბევრ ვაჟკაცს გადაეფარა წყვდიადი შავი სამარის,
სირცხვილნაჭამმა სულთანმა მოკურცხლა თავის ამალით.
უკან დაედევნენ ქართველნი კაფვით, ხანჯლების კისკასით:
— მეორედ აღარ გაბედოთ შემოჭრა ქართლის ჭიშკარში!

გათავდა ომი თუ არა, ერთად შეგროვდნენ ჯარები,
მხრებზე შვენოდათ მშვილდები და შუბლზე ნახანჯლარები.
მკვდრებით მოფენილ მინდორზე სიო არ ჰქროდა არსაით,
მუზარადი და ჩაჩქანი ეყარა რიყის ქვასავით.
ზოგან მოჩანდა მხედარი, ხმლით გაკვეთილი ორადა,
ზოგან დაჭრილი კვნესოდა და სისხლის ღვარი ბოლავდა.
როგორც ტყე შემოდგომისა ფოთლის ყვითელი ფოჩებით,
იდგნენ ხელჩართულ ბრძოლაში ნაალაფარი დროშები.
— მალემსრბოლიო! —
მხარგრძელმა მხედრებმა მხარგრძელს შესძახეს
და ერთი ჩვეულთაგანი
გაქანდა ოძრახესაკენ.
ჯარის წინ სახელოვანი სარდლობაც გამომზიანდა,
გახსნეს შეკრული თვალ-წარბი, ფარებს დაეყრდნენ ზვიადად.
წინ გადაშლოდათ საკუთარ მარჯვენით ნაპარტახევი,
მზეზე ელავდნენ ლომკაცთა ფოლადის ჩაბალახები.
უცებ სად იყო, სად არა... გაშეშდნენ გაკვირვებითა:
არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან.
ჯერ გაჰკრეს, გაინავარდეს, მზის შუქში გაფერნაირდნენ,
და მერე მსხვილი ჭანგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს.
ამირანივით მოჩანდა მუზარადიან ტოლებში
ძლიერად მბრძოლი მებრძოლი, ბატონ-პატრონი ლორესი.
თამარის თანამეცხედრე, თვით მეფე გვირგვინოსანი,
ზერდაგზე იჯდა ბეჭბრტყელი შიშშეუვალი სოსლანი,
და გაეშალა ლაჟვარდში ისე, ვით ლომის ფაფარი,
გორგასლიანი ალამი — ვაჟკაცთა თავშესაფარი.
ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა ებანებოდა ტყე-ველი
და საქართველო იდგა ვით, გოდოლი შეურყეველი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები

ახლა, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა ადამიანების შრომით შექმნილ, მსოფლიოში პირველ, დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე, ჩვენ სიამოვნებისა და მაღლობის გრძნობით ვიგონებთ ჩვენს დიდ თანამემამულეს — კ. ვ. ციოლკოვსკის, რომელმაც რეაქტიული ძრავებისა და საპლანეტათაშორისო მიმოსვლის მეცნიერულად დასაბუთებული თეორია მისცა კაცობრიობას.

ჩვენი ღამის მნათობი — მთვარე, როგორც ცნობილია, დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრია. ხელოვნური თანამგზავრი კი წარმოადგენს თავისებურ საფრენ აპარატს, რომელიც, როგორც პატარა მთვარე გარს უვლის ჩვენს პლანეტას და იგი ისევე ემორჩილება მიზიდულობის კანონს, როგორც დედამიწა, მთვარე და სხვა ციური სხეულები.

რისთვის შეიქმნა ხელოვნური თანამგზავრი

დედამიწა, როგორც ცნობილია, ყოველი მხრიდან გარემოცულია ჰაერის გარსით-ატმოსფეროთი, რომელიც ასობით კილომეტრის სიმაღლეზეა გადაჭიმული. შემდეგ იწყება კოსმიური სამყარო, სადაც არ არის ჰაერი და დედამიწისგან მკვეთრად განსხვავებული პირობებია გაბატონებული.

ატმოსფეროს შესწავლა საუკუნეებია რაც დაიწყო, მაგრამ აქამდე ეს შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ დედამიწიდან დაკვირვებით სწარმოებდა. ჰაეროსტატის, თვითმფრინავისა და ბურთ-ზონდების გამოგონების შემდეგ კარგად იქნა შესწავლილი ატმოსფეროს მხოლოდ დაბალი ფენები—დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის სიმაღლეზე. ატმოსფეროს ზედა ფენების შესწავლა კი მხოლოდ რაკეტული ტექნიკის გამოყენებამ გახადა შესაძლებელი. მათ საშუალებით მეცნიერები ატმოსფეროს მაღალ ფენებში შეიჭრენ. სპეციალურმა აპარატურამ, რომელიც

თანამგზავრის ორბიტი.

რაკეტაზე იდგმება, მეცნიერებს საშუალება მისცა დაედგინათ ატმოსფეროს მაღალ ფენებში არსებული პირობები. მაგრამ რაკეტის ფრენის ხანგრძლივობა მხოლოდ რამდენიმე წუთით განისაზღვრება, რის გამოც სრულყოფილი აპარატურაც კი ვერ იძლევა იქ, მაღალ ფენებში, მიმდინარე ქიმიურ-ფიზიკური პროცესების ნათელ სურათს. ამასთან რაკეტის „თვალთახედვის“ ზოლიც ძალზე შეზღუდულია.

ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის, რადიოსა და ტელევიზაციის, ასტრონომიისა და ასტროფიზიკის, გეოფიზიკის და ბიოლოგიის შემდგომი განვითარება კი მოითხოვს ზედმიწევნით იქნეს შესწავლილი არა მარტო ატმოსფერო, არამედ დედამიწასთან ახლომდებარე კოსმიური სამყაროც.

ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით, რადგან დიდ სიმაღლეზე ხანგრძლივი დაკვირვების საშუალებას მხოლოდ იგი იძლევა.

როგორ არის მოწყობილი თანამგზავრი

ჩვენი პირველი თანამგზავრი, რომელიც 4 ოქტომბერს იქნა აშვებული, ბურთის ფორმისაა, დია-



★

ძაღლი „ლაიკა“ ჰერმეტულ კაბინაში. თანამგზავრში მოთავსების წინ.

★

მეტრში 38 სანტიმეტრია და 83 კილოგრამს იწონის. თანამგზავრის სხეული დამზადებულია სპეციალურად დამუშავებული ალუმინის შენადნობისაგან. მის შიგნით მოთავსებულია სხვადასხვა ხელსაწყოები, კერძოდ, ორი რადიოგადამცემი, რომელიც კორპუსის გარემხარეზე მოთავსებულ ანტენის საშუალებით განუწყვეტლივ იძლევა რადიო-სიგნალებს.

როგორ მოძრაობს თანამგზავრი

თანამგზავრის ორბიტი დედამიწას სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილოაღმოსავლეთით ჭკვეთს. ორბიტის ყველაზე დაბალი ნაწილი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობს, მაღალი კი — სამხრეთში. ამიტომ, ორივე თანამგზავრის მინიმალური სიმაღლე, მოძრაობის დასაწყისში 250 კილომეტრი იყო, ხოლო მაქსიმალური, პირველი თანამგზავრისა— 900 კილომეტრი, მეორისა — 1700. პირველ ხანებში, პირველი თანამგზავრი დედამიწას 96,2 წუთში უვლიდა გარს, მეორე კი 103,2 წუთში, ასე რომ დღე-ღამეში მეორე თანამგზავრი ფრენის დაწყებისას 14-ჯერ უვლიდა დედამიწას, ხოლო პირველი, ამ მანძილს 15-ჯერ გადიოდა.

ვინაიდან, დედამიწა თავის ღერძის გარშემო ბრუნავს, ყოველი შემოვლის დროს თანამგზავრი დედამიწის სულ სხვადასხვა რაიონს გადაუვლის ხოლმე თავზე. თანამგზავრი თითქმის ზუსტად განსაზღვრული ორბიტის მიხედვით უვლის დედამიწას გარშემო, დედამიწა კი თანამგზავრის მიერ მოხაზულ ამ რკალის ქვეშ ტრიალებს. დედამიწის სხვადასხვა ნაწილების არათანაბარი მიზიდულობისა და ატმოსფეროსთან ხახუნის გამო, თანამგზავრის ორბიტის ზომა იცვლება, და როდესაც იგი ისე შემცირდება, რომ დედამიწას დაახლოებით ასი კილომეტრით მიუახლოვდება, ატმოსფეროს უკვე საკმაოდ გახშირებულ ფენებთან ინტენსიური ხახუნის გამო, იგი გახურდება და მეტეორის მსგავსად დაიწვება.

წინასწარმეტყველებენ, რომ პირველი თანამგზავრი დაახლოებით სამი თვე იმოძრავებს დედამიწის გარშემო, მეორე თანამგზავრი კი, ცხადია, ბევრად უფრო დიდხანს გაძლებს.

თანამგზავრის თვალის დევნება

თანამგზავრზე დაკვირვება ოპტიკური ხელსაწყოების საშუალებით ხდება. დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე, რადიოტექნიკური საშუალებები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიკური ხელსაწყოებით და-



„ამცაბზ“

ახალი

აფხაზური სიტყვა «ამცაბზ» ქართულ ენაზე ალს ნიშნავს, ალისფერია თქვენი ყელსახვევი, ალისფერია თქვენი ალმები. ამიტომაც ეწოდა ეს სახელი აფხაზურ ენაზე გამოსულ ახალ საბავშვო ჟურნალს.

«ჩვენ, აფხაზი ბავშვები, ძალიან გაგვახარა აფხაზურ ენაზე გამოსულმა ახალმა ჟურნალმა... ჩვენი ჟურნალი კარგად არის გაფორმებული, შიგ ბევრი რამ საინტერესო წავიკითხეთ»,—სწერს გაზეთ «ნორჩ ლენინელს» აფხაზი გოგონა—გულნარა კაცია. მართლაც რომ მეტად საინტერესო მასალებია იქ დაბეჭდილი. არ დარჩენილა აფხაზი მწერალი, რომელსაც პატარა მკითხველი არ გაეხარებინოს. აი, აფხაზეთის სახალხო პოეტის—დიმიტრი გულიას ლექსი; აქვეა გამოქვეყნებული ბაგრატ შინკუბას, კ. ლომიას, ა. ჯონუას და ნელი თარბას ლექსები; ი. პაპასკირის, ჭ. ჯონუას, ზ. დარსალიას, შ. ინალიფას საბავშვო მოთხრობები და ნარკვევები.

კვირვება დამოკიდებულია ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე, თანამგზავრის ზომასა და მის განათებულობაზე. რადიოტექნიკას კი ეს მიზეზები დაბრკოლებას ვერ უქმნიან, მაგრამ მათი როლი, ი ანამგზავრიდან რადიოსიგნალების შეწყვეტასთან ერთად, ნულამდე დადის.

თანამგზავრზე რომ დაკვირვება ვაწარმოოთ, ამისათვის საჭიროა: ჭოგრიტი, კომპასი, საათი და ამასთან, სასურველია, ვიცოდეთ ვარსკვლავთა რუკა. კარგია, თუ დაკვირვებისათვის ფართე ჰორიზონტიანი ადგილი შეირჩევა.

როგორ ხდება თანამგზავრიდან ცნობების გადმოცემა

დედამიწაზე ცნობების გადმოცემა სპეციალური რადიოტელემეტრიული ხელსაწყოებით ხდება.

როგორც ცნობილია, რადიოტალღების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს მათი სიხშირე და რხევის ამპლიტუდა. იმისათვის, რომ რადიოტალღების საშუალებით გადაცემული იქნას ცხოველის სუნთქვის პროცესი, ცხოველის სხეულზე მიმაგრებულია სპეციალური ხელსაწყოები, რომლებიც „თვალს ადევნებენ“ სუნთქვის პროცესს, რადიოტალღები კი მას ატმოსფეროში ავრცელებენ. თანამგზავრიდან წამოსულ ამ ბგერებს „იჭერენ“ სპეციალური რადიოდანადგარები, რომლებიც ამ სიგნალებს ტეხილი ხაზის სახით ლენტზე აღნიშნავენ. ამ ლენტის მიხედვით მეცნიერები, როგორც წიგნში, ისე კითხულობენ ცოცხალი ორგანიზმის მდგომარეობას და საზღვრავენ პირობებს, რომლებიც იქ ბატონობენ.

რას მისცემენ თანამგზავრები მეცნიერებას

დღესდღეობით თანამგზავრის გამოყენების საქმეში გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, მაგრამ, ახლაც კი ცხადად ჩანს თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ მათ ასტრონომიისათვის, რადიოფიზიკისათვის, და კოსმიური ხომალდების კონსტრუქტორებისათვის.

დედამიწიდან დიდ მანძილზე დაშორებული თანამგზავრი, დაგვეხმარება შევისწავლოთ კოსმიური და მზის სხივები, რომელიც ჩვენამდე, ჩვეულებრივ, ატმოსფეროში „დამახინჯებულად“ მოდიან. ხოლო, რაც უფრო მდიდარი იქნება ჩვენი ცოდნა მათ შესახებ, მით უფრო ნათელი იქნება სამყაროში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების სურათი.

დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე ტემპერატურის, წნევისა და ჰაერის შემადგენლობის განსაზღვრას, რასაც წარმატებით ახორციელებენ თანამგზავრები.

თანამგზავრების დახმარებით საშუალება გვექნება დავაკვირდეთ დედამიწის გარშემო ჰაერის თბილსა და ცივ მასებს, აგრეთვე ანტრაქტიკისა და არქტიკის ყინულის მასებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტეოროლოგიისათვის.

აქ ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მეცნიერული

თანამგზავრზე დადგმული კანტეინერები, რომლებშიაც სამეცნიერო აპარატურაა მოთავსებული.

★

პრობლემებისა, რომლებიც გადაჭრილი იქნება ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით. ხელოვნური თანამგზავრები, როგორც კოსმიური სამყაროს პირველი მზვერავები, გზას გაუკაფავენ საპლანეტთაშორისო მიმოსვლას.

გაივლის მცირე დრო, და ჩვენი თანამედროვეები თვალნათლივ იხილავენ, თუ როგორ შეისხამს ფრთებს ადამიანთა საუკუნო ნაოცნებარი.

ნ. ვარვაროვი

დოსაფის ავტონავტიკის სექციის თავმჯდომარე.

ჟურნალი „იუნი ტეხნიკი“
№ 12. 1957 წ.

საჩუქრები



„ვაზაფხული“

პირველ ოქტომბერს თბილისის პიონერებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს: გამოვიდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გაზეთი—«გაზაფხული».

«გაზაფხულის» ფურცლებზე უმეტესად სასახლის აქტივისტები ბეჭდავენ საკუთარ ლექსებსა და მოთხრობებს, წერენ კაბინეტებში, წრეებში ჩატარებული მუშაობის შესახებ. მკითხველს «გაზაფხული» ესაუბრება სასახლის, მოზარდი თაობის ამ აღმზრდელი კერის მრავალფეროვანი და საინტერესო შრომის შესახებ. აქ ნახავთ წერილებს, თუ როგორ ემზადებიან დეკადის მონაწილენი მოსკოვში წასასვლელად, როგორ შეხვდნენ ისინი დიდი ილიას საიუბილეო დღეებს, რა გატაცებით მუშაობდა ნორჩ არქეოლოგთა პირველი ექსპედიცია ბეთანიის მიდამოებში, როგორ დამეგობრდა ორი—ქართველი და ჩეხი პიონერი გოგონა, და კიდევ მრავალი სხვა. «გაზაფხულმა» თქვენ კიდევ ერთი ახალი სიხარული მოგიტანათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუნეგა ფეროქვე

ედიშერ ყიფიანი

ფოტო ო. თურქიასი

ჭინო და... სიმინდი

კვირა დილით თენგიზს სკოლის ამხანაგებმა გამოუარეს, ნორჩ ნატურალისტთა საცდელ ნაკვეთზე უნდა წასულიყვნენ სიმინდის ყანის გასათოხნად, მაგრამ თენგიზი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო, ლოგინში ნებივრობდა, ავად ვარ, წუხელ სიცხე მქონდა, მგონი გრიპი შემეყარაო — არწმუნებდა მეგობრებს.

— სტყუი, გეზარება წამოსვლა! — მიუხვდა ერთ-ერთი მათგანი.

— არა, დედას გეფიცები, ავად ვარ! — დაბეჯითებით გაიმეორა თენგიზმა.



ამხანაგები წავიდნენ.

თენგიზმა შვებით ამოისუნთქა. კმაყოფილებისაგან კინაღამ ხმამაღლა გაეცინა, რა იოლად მოიშორა ამხანაგები. რა დროს სიმინდის თოხნაა ამ მზიან დღეს! უბნის ამხანაგები უფრო ჭკვიანები არიან, კინოში წასვლა შესთავაზეს თენგიზს, დილის სეანსზე. განა ეს არა სჯობია მუშაობასა და ოფლის ღვრას?!

თენგიზი წამოდგა. ახალგაუთოებული „ვისკოზის“* ხალათი გადაიცვა, ღილები ბოლომდე შეიკრა. შემდეგ ისაუზმა, ცხელ ჩაის გემრიელი ნამცხვარი შეატანა. კედლის საათი ათის ნახევარს უჩვენებდა. თენგიზი სწრაფად წამოდგა და ლინოლეუმის კრიალა იატაკზე გასრიალდა, სულ სრიალ-სრიალით მივიდა კარამდე და კიბეებზე ჩაირბინა.

ეზოში მსუბუქი ავტომობილი იდგა. გარშემო ბიჭები შეძოხვეოდნენ და მძღოლს ათასნაირ კითხვებს აყრიდნენ. მძღოლი კი ფრთხილად ასხამდა მოტორში რაღაც მუქსა და სქელ ზეთს და უხასიათოდ პასუხობდა ბიჭებს შეკითხვებზე.

ამ ავტომობილით თენგიზის მამა მიდიოდა სანადიროდ და ბიჭებს დაჰპირებოდა — კინო-თეატრის შენობამდე მიგიყვანთო.

ნახევარი საათის შემდეგ თენგიზი და მისი უბნის ამხანაგები ჩაბნელებულ დარბაზში ისხდნენ და გატაცებით ადევნებდნენ თვალს კინოფილმის კადრებს. ამ დროს კი თენგიზის სკოლის ამხანაგები, ნორჩ ნატურალისტთა საცდელ ყანაში მუშაობდნენ, გულმოდგინედ უვლიდნენ სიმინდის თითოეულ ძირს, სიმინდისა, რომლიდანაც...

ეჰ, რა იცოდა ჩვენმა თენგიზმა, რომ „ვისკოზის“ ხალათი, რომელიც მან დილით გადაიცვა, და იმ ხალათის ღილებიც სიმინდისაგან იყო დამზადებული; რა იცოდა, რომ იმ ნამცხვარსაც, რომლითაც პირი ჩაიგემრიელა და დანაყრდა, სიმინდისაგან აკეთებენ. რომ სიმინდისაგან აკეთებენ ლინოლეუმის იატაკსაც და ავტომობილის ზეთსაც, ურომლისოდაც მანქანა კინომდე ვერ მიიყვანდა ბიჭებს. ამას რომ თავი დავანებოთ, თენგიზის ამხანაგის მამაც ვერ წავიდოდა იმ დილით სანადიროდ, რადგან თოფის წამალიც სიმინდისაგან კეთდება.

რა იცოდა ჩვენმა თენგიზმა, რომ სიმინდისაგან ამზადებენ ცელულოიდს და კინოფილმისათვის საჭირო

* ვისკოზი — ხელოვნური აბრეშუმია

ფირებს, ურომლისოდაც იმ დილით თენგიზი კინოს ვერ ნახავდა და ვერ დატკბებოდა. ვინ იცის, ყველაფერი ეს რომ სცოდნოდა თენგიზს, იქნებ წაჰყოლოდა ნორჩ ნატურალისტებს სიმინდის ყანის გასათოხნად?!

ნორჩ ნატურალისტთა გამოფენაზე

ნორჩ ნატურალისტთა III რესპუბლიკური გამოფენის ერთ ერთ კედელზე ჰკიდია სტენდი, რომელიც თვალსაჩინოდ მოუთხრობს მნახველს, თუ რა და რა ფართო მოხმარების პროდუქტებს ამზადებენ სიმინდის მარცვლისა, ღეროსა და ნაქუჩისაგან. ეს სტენდი გააკეთეს არა თენგიზის მსგავსმა პიონერებმა, არამედ ნორჩმა ნატურალისტებმა, ბეჯითმა ბავშვებმა ც. ფანჩვაძემ და თ. ხუხუნაშვილმა, რომლებსაც გატაცებით უყვართ ბუნება, ყვავილები და ხეები, მცენარეები და პეპლები, ცხოველები და ფრინველები.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს ფლორა და ფაუნა. 9 ოთახში 8000-ზე მეტი ექსპონატი გამოუფენიათ რესპუბლიკის 245 სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების ნორჩ ნატურალისტებს. ეს არის პაწია სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლის საუკეთესო ნიმუშებს ბოლოს დიდ საკავშირო გამოფენაზე გაგზავნიან.

ათვალიერებ ექსპონატებს და ყოველი ნიმუში, გამოფენის ყოველი კუთხე თვალწინ წარმოგიდგენს ამ ნიმუშთა „ავტორებს“, ნორჩ ნატურალისტებს, მთელი მონდომებითა და სიყვარულით რომ ემზადებოდნენ გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. რამდენი ენერგია დაუხარჯავთ, რაოდენი სითბო გაულიათ თავიანთი გულისა. აქ ნახავთ 22 კილოგრამიან გოგრას, (გორის რაიონის სოფ. ტყვიავის ნორჩი ნატურალისტები), უცნაურ ნამყენს — ფესვად რომ კარტოფილი აქვს და ღეროებზე წითელი პამიდორი. იგი ქობულეთელმა მოსწავლემ—აქვსენტი კომახიძემ გამოიყვანა. სოფ. მეჯვრისხევის ნორჩ ნატურალისტებს, ბოსტნეულის სხვადასხვა თესლისაგან „დახატული“, ი. ჭავჭავაძის მშვენიერი პორტრეტი გამოუგზავნიათ. მშვიდობის მტრედიც და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ღერბიც ასევე თესლებისაგან დაუმზადებიათ ნორჩ ნატურალისტებს. გამოფენაზე ნახავთ ელექტროფიცირებულ „რუკა-მასწავლებელს“, რომლის დახმარებით სწრაფად და ადვილად მიაკვლევთ სხვადასხვა მცენარეთა წარმოშობისა და გავრცელების ადგილებს მსოფლიოში.



სავახშმოდ მიემგზავრება კუთა ქარავანი.



თურმე ნუ იტყვით, მესხური თუთისაგან ასპინძის რაიონში ამზადებენ ლიქიორს, არაყს, ლეჩერს, თაფლს, ჩირს, ჩურჩხელას, ტკბილ კვერს (სოფ. ტოლობის საშ. სკოლა); ჭანჭურისაგან — მურაბას, ტყლაპს, კომპოტს, ჩურჩხელას, ჩირს, არაყს. (სოფელ ჭობარეთის საშ. სკოლა). სოფელ იდუმალში ოცდაათამდე ვაშლის ჯიში ყოფილა გავრცელებული—ფაშა ვაშლა და ყარაფილა, რაზმარინი და შაფრანი, ლიმონა ვაშლა და ბელფლორი, შამპანური რენატი, ბააზი ვაშლი და სხვ.

თურმე ნორჩ ნატურალისტებს ნუშზე ატამი დაუმყნიათ, თურმე საქართველოში გავრცელებული იშვიათ მცენარეთა მერქნები შეუგროვებიათ: მეჭეჭიანი არყი, ბერძნული კაკალი, აღმოსავლეთის წიფელა, ღვია, ლეკის ხე და ავეჯისათვის ძვირფასი მასალა—უთხოვარი, რომლის მერქანი ბზის ხეს სჯობია.

თურმე, ერთი კუბური მეტრი ხისაგან შეიძლება დამზადდეს 63 კგ. ფისი, ან 16 კგ. სკიპიდარი, ან 120 კგ. ნახშირი ან 5 კგ. კანიფოლი და სხვა. (ბათუმის ნორჩ ნატურალისტთა სადგური). ყოფილა თურმე ლამაზი ცხოველი ძილგუდა, რომელიც

— ოო, აი, ეს გოგრა მთელ წელიწადს მეყოფა სატკბანურებლად—ამბობს პატარა ნუნუ.

★

ეირთაგვებიდან ციყვებისაკენ გარდამავალ სახეობას წარმოადგენს. დაბადებულა თურმე ექვსფეხიანი ლეკვი ძაღლისა და გამოჩეკილა ორთავიანი წიწილა.

ყველაფერი ეს კი გამოფენის მრავალმა ნორჩმა მნახველმა გაიგო და შეისწავლა, მათი თანატოლი ნატურალისტების მუყაითი შრომის შედეგად.

გონებამახვილურად მოუფიქრებიათ პიონერებს სასარგებლო მწერთა მაჩვენებელი სტენდი, რომლის წარწერა შესრულებულია ასევე სასარგებლო მწერების—ჭია-მაიებისაგან.

მებოსტნეობა-მეყვავილეობის განყოფილებაში ყურადღებას იქცევს საქართველოს სხვადასხვა ჯიშის სიმინდებისაგან „აშენებული“ სვეტი.

★

იგრძნობა, რომ ნორჩ ნატურალისტებს მუდამ ახსოვთ ბუნების დიდი გარდამქმნელის მიჩურინის სიტყვები: „ჩვენ არ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ამოცანაა წავართვათ იგი ბუნებას“.

ნორჩ ნატურალისტებს წარმოუდგენიათ მაკეტი, რომელიც თვალსაჩინოდ გვასწავლის, თუ როგორ უნდა გაზომო თივის ზვინის მოცულობა. აქვეა მაკეტი მერძევეობის უზარმაზარი ფერმისა (სამტრედიის I სკოლა), კულტივატორისა (წნორის ქართული საშ. სკოლა). მებაღეობა-მევენახეობის განყოფილებაში გამოფენილია მაკეტი, რომელზედაც ჩანს, თუ როგორ წურავდნენ და ამზადებდნენ ღვინოს ფეოდალურ საქართველოში. მეზობელ დარბაზს კი ამშვენებს დღევანდელი სოფლის მეურ-

★

თითქოს თვითმფრინავიდან გადაუღიათ სოფელიო. ეს არის სამტრედიის ნორჩ ნატურალისტთა მიერ გაკეთებული მექანიზებული ფერმა მერძევეობისა.



ნეობის მექანიზაციის ნიმუშები. ამ მანქანათა დახმარებით ჩვენი კოლმეურნეები დიდ მოსავალს იღებენ ყოველწლიურად. აქ არის მეტეოკალენდარი და მეტეო-სადგურთა მაკეტები, სხვილისის ხახვზე დამყნილი, „ქართული წითელისაგან“ მიღებული „ვაყის სილამაზე“, კარტოფილი და მისი ნაწარმი—კაუჩუკი, ვიტამინი C, სპირტი სახამებელი, სოლანინის ზეთი და მრავალი სხვა...

როგორც კი შეხვალთ ბოსტნეულობის განყოფილებაში, მაშინვე მოგაგონდებათ „ჩიპოლინოს“ ზღაპარი. აქ ხვრინავენ მსხვილთავა ხახვები, წრიპინებს წითელი და ჭრელი ლობიო, ახველებენ ღიპიანი გოგრები, ქშინავენ ლოყებზე ალმურავარდნილი ჭარხლები, და ვინ იცის, ღამით, როცა გამოფენის დარბაზები დაცარიელდება და სამარისებრი სიჩუმე გამეფდება, იქნებ თავთავიანთ თავგადასავლებს უამბობენ ერთმანეთს ბოსტნეულთა სამეფოს „მოქალაქენი“.

არა, ნამდვილად შეცდა თენგიზი, ყანაში სამუშაოდ რომ არ გაჰყვა თავის ამხანაგებს; მასაც ხომ შეეძლო ყოფილიყო ამ საინტერესო გამოფენის მონაწილე, მასაც ხომ შეეძლო მცირე წვლილის შეტანა. ამით თავის ცოდნასაც გაიმდიდრებდა და შინაარსიანადაც გაატარებდა დროს, კინოში წასვლას კი ყოველთვის მოასწრებდა.

ვნახოთ, იქნებ თენგიზმა გამოასწოროს თავისი შეცდომა!

ბუნების კარი

შურთხი

(მონადირის ნაამბობი)

შურთხი მეტად საინტერესო ფრინველია. მას, მეორენაირად, მთის ინდაურს ეძახიან, ის მართლაც წააგავს ჩვეულებრივ ინდაურს, როგორც გარეგნობით, ისე სიდიდით. ბინადრობს კავკასიონის ალპიურ ზოლში, განსაკუთრებით უყვარს მიუვალი კლდიანი ადგილები, აქ იგი უშიშრად გრძნობს თავს.

შურთხების ცხოვრება მეტად საინტერესოა. ჩვეულებრივ ისინი გუნდგუნდად ცხოვრობენ. ხშირად გვხვდებიან იმ ადგილებში, სადაც ჯიხვები ბალახობენ, ეს გამოწვეულია იმით რომ შურთხი ჯიხვის ნაკელში პოულობს საკვებს, და ამ მხრივაა მასთან დაკავშირებული, სამაგიეროდ ჯიხვებისათვის შურთხს ხშირად მოაქვს დიდი სარგებლობა. მას აქვს ძლიერ მახვილი თვალი. მოახლოებულ საფრთხეს შეამჩნევს თუ არა, ასტეხავს ხმაურს და მთელი გუნდი განგაშით გაფრინდება ხოლმე. ამ ხმაურით ჯიხვები იგებენ მოახლოებულ საშიშროებას და გარბიან თავის გადასარჩენად. შურთხს, ამგვარი საქციელით, მრავალი, მონადირე დაუტოვებია ხელცარიელი.

შურთხი კრუხობის დროს განსაკუთრებით ზრუნავს შვილებზე. ეს მე თვითონ მინახავს ნადირობის დროს; მისი მოხერხებული საქციელით ბევრჯერ დავბრუნდი სახლში ხელცარიელი. მახსოვს ერთი შემთხვევა: კვირა დღე იყო, მზის ამოსვლისას თოფით ხელში ვესტუმრე თუშეთის მთის საჯიხვეებს. მალე ისეთ კლდიან ადგილებში მოვხვდი, რომ სიარული გამიჭირდა, ხევებიდან ცივი ქარი უბერავდა და თან ჯანლისა და ნისლის ნაფლეთები მოჰქონდა. ჯანლი წინ მეფარებოდა, გალიპული კლდეები გზას მიღობავდნენ. ამიტომ ფრთხილად დავდიოდი და გულდასმით ვათვალიერებდი გარემოს. უცებ მოულოდნელად დედა-შურთხს წავაწყდი, იქვე ახლადგამოჩეკილი ჭუკები ყავდა. შემნიშნა თუ არა, საცოდავად აჭყივლდა, აფართხალდა და ფერდობზე დაგორდა.

— ჭუკები სად წამივლენ, მოდი ჯერ ამას დავიჭერ მეთქი,—გავიფიქრე და უკან ავედევნე. მიგორავს აფრთხიალებული დედა-შურთხი და მეც თან მივდევ. რამდენჯერმე წავატანე ხელი დასაჭერად, მაგრამ ამაოდ, ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ გაშალა ფრთები და კრიახით გადაეცალა კლდეებს.

— ჯანდაბას, იმ ჭუკებს მაინც ავკრეფავ მეთქი,—ვინუგეშე თავი და სწრაფად გამოვბრუნდი, ისიც კი გავიფიქრე, თუ როგორ უნდა წამეყვანა ოცამდე ჩვილი შურთხი სახლში, მაგრამ აქაც გამიცრუვდა იმედი. ერთიც აღარ დამიხვდა მათ ნაბუდარში. ახლა კი მივხვდი, რომ მთის ინდაურმა მაჯობა მოხერხებით, მაგრამ გვიანღა იყო. ბუდიდან იმიტომ დაგორდა ფერდობზე, რომ ჭუკებიდან შორს გავეტყუებინე. როცა ივარაუდა, ახლა კი თავს უშველიდნენო ჭუკები, თითონაც გამისხლტა ხელიდან და თან შვილებს დაუწყო ძახილი თავისი უცნაური კრიახით.

ასეთ შემთხვევას შემდეგაც წავაწყდი, თან სხვა მონადირეებმაც დამიდასტურეს, რომ შურთხი ამგვარი ხერხით ცდილობს შვილების გადარჩენას საფრთხისაგან.



ზოთა ბაკურიძე

7290

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბ. ... ...

ჩრდილოეთის ტბის ცუკვე

გლებ გოლუბევი

ნახატები დ. ნოდიასი

წლების განმავლობაში მშობლიურ ქვეყანაში ჩემი მოგზაურობის გამო, ჩემი სახლი პატარა მუზეუმად იქცა. ყოველი მოგზაურობიდან შინ, სახსოვრად, რაიმე უცნაური კენჭი, იშვიათი მცენარის ყვავილი, ან ლამაზი ფრინველის ფიტული მომქონდა. თანდათანობით ჩემს მუზეუმში ექსპონატების რაოდენობა გაიზარდა და თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი, საინტერესო ისტორია აქვს.

და აი, დღეს მინდა მოგითხროთ ერთი ასეთი ისტორია, დაკავშირებული პატარა, ხალებიანი თევზის ფიტულთან, რომელიც თაროზე მიდევს. ვუყურებ თევზს და მაგონდება ჩრდილოეთის შორეული მხარე, პატარა კუნძული ბარენცის ზღვაში და იმ კუნძულზე გასაოცარი ტბა, რომელიც შეიძლება ერთადერთია მთელს დედამიწაზე...

რამდენიმე წლის წინათ, ტურისტების ჯგუფთან ერთად კოლის ნახევარკუნძულზე ვიმოგზაურე. ეს ჯგუფი სხვადასხვა ინსტიტუტის სტუდენტებისაგან შედგა. ყველა მათგანი კარგი სპორტსმენი და ბუნების დიდი მოყვარე იყო.

ჩვენ მეგობრული, შეხმატკბილებული ჯგუფი გვქონდა, მაგრამ ერთ რამეში ვერ მოვრიგდით: ზოგი ჩვენგანი ნადირობის ტრფიალი იყო, ზოგი კი — მხოლოდ თევზაობისა. ამიტომ, სამოგზაურო მარშრუტის არჩევის დროს, ყოველთვის დავა იმართებოდა: ერთნი წყლისკენ მიიწევდნენ, მეორენი კი იქით, სადაც ბევრი ფრინველი და ნადირი იყო.

ერთმა ჩვენგანმა, რომელსაც მეთევზეებისა და მონადირეების შერიგება სურდა, წინადადება წამოაყენა:

— მეგობრებო, მოდით, ზღვის ნაპირს გავყვეთ... ასეც მოვიქეცით.

მურმანსკიდან ზღვის ნაპირით გავემართეთ. ჩვენი მიზანი კოლის კუნძულის მთლიანად შემოვლა იყო. მეთევზეებისათვის მსუბუქი დასაშლელი ნავი გვქონდა, რომელიც მონადირეებსაც გვადგებოდა ხოლმე.

ზაფხული ტუნდრაში — მოსკოვის მიდამოებში რომ გაზაფხული იცის, იმგვარია. თოვლი ჩქარა დნება, ყველგან ნაკადული მოჩუხჩუხებს, კამკამებს გუბეებში ჩამდგარი გაზაფხულის წყალი და რეზინის ჩექმის გარეშე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. ამიტომ გზის დიდი ნაწილის გავლა ნავით მოგვიხდა.

ტუნდრაში ზაფხულის დასაწყისი მშვენიერი დროა, მხიარულად ჩხრიალებს წყალი და უკანასკნელ თოვლს აქრობს. ბექობებზე პირველი ყვავილები იშლებიან, იხვების გრძელი ქარავნები ტბების თავზე მიემართებიან, ცივ ნაკადულებში კი თევზი დგაფუნობს. აქ ყველაფერი უხვადაა — სანადიროც და სათევზაოც. მხოლოდ ერთი რამ იყო ცუდი: უამრავი, ერთიბეწო, გულისგამწყალებელი კოღო-ბუზები, რომლებიც დილიდან საღამომდე გვესეოდნენ და მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ასე გასინჯეთ, პირის გაღებაც კი არ შეგვეძლო. დავჯდებოდით თუ არა ჩაის დასალევად, ეს საძაგელი მწერები უმალვე ჩაიში აღმოჩნდებოდნენ. მათგან თავის დახსნის ერთადერთი საშუალება არსებობდა — ზღვასთან ახლოს ყოფნა, რადგან იქ გამუდმებით ჰქროდა ნესტიანი სიო. ამიტომ ჩვენ ყოველთვის ზედ ზღვის პირას ვბანაკდებოდით. თუ ნაპირის შორი-ახლოს რომელიმე პატარა კუნძულზე მოვეწყობოდით, ეს ხომ მთლად უკეთესი იყო.

ერთ საღამოს საკმაოდ მოზრდილ კუნძულზე მოვხვდით, მის სახელს ჯერჯერობით არ გეტყვით. ამ კუნძულს ხმელეთიდან არც თუ ისე განიერი სრუტე ჰყოფს. იქ რამდენიმე რუ და პატარა ტბაა.

ზაფხულობით ტუნდრაზე დილა და საღამო, ღამე და დღე — ძალზე პირობითი ცნებებია. მზე მთელი ოცდაოთხი საათის განმავლობაში დაეხეტება ცაზე და ერთი საათითაც არ ტოვებს მას.

ძალზე დაღლილები ვიყავით და ტბის შორიახლო კარვის გაშლა და ცეცხლის გაჩაღება დავაჩქარეთ. მოვალეობანი ზუსტად გვქონდა განაწილებული. ვიდრე სამი ჩვენგანი კარავს დგამდა, დანარჩენები კოცონისათვის ფიჩხს აგროვებდნენ, თევზს ასუფთავებდნენ და იხვებს შიგნავდნენ. ეს იყო „სამზარეულოს ჯგუფი", რომელსაც იმ საღამოს მორიგე მზარეული — სამთო ინსტიტუტის სტუდენტი, მხიარული და ცოცხალი ჭაბუკი, ენენია ზაიცევი მეთაურობდა. მან ორ დიდ ვედროს წამოავლო ხელი და ტბაზე წყლის მოსატანად გაქანდა.

მალე ჩვენი კოცონი მხიარულად აგიზგიზდა. ცეცხლის ენები თუჯის სამ დიდ ქვაბს გვერდებს ულოკავდა. ჩვენი საღილი ყოველთვის სამი კერძისაგან შედგებოდა: პირველი — თევზის წვენი, მეორე — ფაფა ნანადირევით ან ხორცით, მესამე ქვაბში კი — ყოველთვის ჩაი გვედგა.

საღილის მოლოდინში კოცონთან მოხერხებულად მოვეწყეთ და მზარეულს ვაჩქარებდით. ენენია მხიარულად ხუმრობდა, ხელში მზარეულის ვეებერთელა კოვზი ეჭირა და ქვაბებს ცეკვით უვლიდა გარს. ბოლოს მან ზეიმით განაცხადა:

— საღილი მზადაა, გაიცემა „ცოცხალი რიგით", დადექით!

ყოველი მხრიდან მისკენ გამოწვდილ ალუმინის ჯამებსა და პლასტმასის თეფშებში იგი სწრაფად და მოქნილად ასხამდა თევზის წვენს, თან თითოეულს სქელ ნაჭერ პურს აძლევდა. თევზის წვენს მადის მომგვრელი სუნი ასდიოდა. ჩვენს ჯამებში ცხიმის ოქროსფერი რგოლები დაცურავდა. სული მიგვდიოდა, ვიდრე წვენი ოდნავ გაგრილდებოდა... კოვზებს ყველამ ერთად ვტაცეთ ხელი, წვენი შევხვრიპეთ და ერთბაშად სულისშემხუთველი ხველება აგვიტყდა: თევზის სუპი სიმლაშისაგან მთლად გამწარებულიყო.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ენენიას მივჩერებოდით. ხელმოცარულმა მზარეულმა კი ჩვენს მზერას ვერ გაუძლო, ნელნელა კოცონისკენ იხევდა.

— ენენია, — განსაკუთრებული ალერსით თქვა პავლიკ გოროხოვმა, — ჩვენი უმარილოდ დატოვება გადაწყვიტე? შენ, ალბათ, წვენში მარილის მთელი მარაგი ჩაჰყარე. როგორღა უნდა განვაგრძოთ მოგზაურობა?

ენენია ზაიცევს უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა. კოცონის ალი ზურგს უწვავდა. ხელები გაასავსავა და ვედრების კილოთი თქვა:

— ძმებო, წვენისათვის მარილი არ მიქნია! ნახეთ, მარილი ხელუხლებელია...

—მეც ამას ვამბობ, რომ შენ სრულიადაც არ ხარ დამნაშავე,— დაცინვით თქვა რომელიღაც ჩვენმა მეთევზემ, – უთუოდ ჩვენ დავიჭირეთ მარილიანი თევზი. შეიძლება ნანადირევიც მლაშე შეგხვდა!

ენენიამ სწრაფად მოხადა თავი მეორე ქვაბს, რომელშიაც იხვის ხორცანი ფეტვის ფაფა იხარშებოდა. კოვზით ნახარში ამოიღო და შიშით შეხვრიპა. პირი დაეთუთქა, მაგრამ სახეზე ბედნიერების ღიმილი აუთამაშდა.

— ძმებო, ყველაფერი რიგზეა! - მხიარულად დაიყვირა მან.—დავივიწყოთ ეს დაწყევლილი თევზის წვენი, სამაგიეროდ მოხრაკული გამოვიდა ისეთი, რომ თითებს ჩაიკვნეტთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავივიწყოთ?! — პირქუშად შეეკითხა პავლიკი. — არა, ჩვენ ამას ვერ დავივიწყებთ, მლაშე წვნიანისათვის მშვენიერ ტბაში ჩაგახრჩობთ. მაგრამ ნუ გეშინია, ახლა არა, ჯერ მეორეს მივირთმევთ და ჩაისაც დავაყოლებთ...

გამგელებული ვიყავით. ფეტვისა და იხვის კერძი ნამდვილად დიდებული გვეჩვენა. მარტო კოვზების ჯამებზე ფხაჭუნის ხმა-ღა ისმოდა. ყველანი მადიანად ვილუკმებოდით. უცებ ენინამ თავი მაღლა ასწია და გაუხარდავად იკითხა:

— კი, მაგრამ, მაინც რად იყო თევზის წვენი მლაშე? და როცა მას არავინ გამოეხმაურა, ჭამა განაგრძო.

— ახლა კი შეიძლება ჩაი მივირთვათ!—გაბედულად მიიწვია მან ყველანი, როცა ჯამები დააცარიელეს.

— სულერთია, მაინც დაგახრჩობთ, — ტოლჩის მიწოდებისას დაემუქრა პავლიკი, მაგრამ ახლა მის ხმაში უწინდელი მძვინვარება აღარ ისმოდა.

მე ჩემთვის ჩაი დავისხი, შიგ სამი მოზრდილი შაქრის ნატეხი ჩავაგდე, სიამოვნებით მოვსვი და... ცოტა დამაკლდა ჭიქა მიწას არ დავახალე! — ეს ჩაი კი არა, რაღაც ენით გამოუთქმელი, გულისამრევი, მომწარო-მოტკბილო სალაფავი იყო.

ვიდრე გონს მოვიდოდით, ენინა მოსწყდა კოცონს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. შორიდან მისი საწყალობელი გოდება-ღა ისმოდა:

— პატიოსნებას გეფიცებით, დამნაშავე არა ვარ. — ჩემი ბრალი არ არის! ტბაა ასეთი. . მარილიანი...

— არაფერი არ მესმის, — მხრების აწევით თქვა პავლიკ გოროხოვმა და ყველანი საეჭვოდ შეგვათვალიერა. — ჩაისაც ხომ მარილს არ უზამდა... იქნებ, რომელიმე თქვენგანმა იხუმრა?!

ჩვენ ყველამ დავიფიცეთ, რომ არავის არც თევზის წვენში და არც ჩაიში მარილი არ ჩაგვიყრია.

— იქნებ, მართლაც ტბის წყალია მარილიანი? — ვთქვი მე, — მოდი, შევამოწმოთ.

ვედროდან წყალი ამოვიღე და შიშით მოვსვი. სრულიად მტკნარი, სუფთა და გემრიელი წყალი იყო.

მომდევნო დღემ ახალი თავსატეხი გაგვიჩინა. დილიდანვე კუნძულზე გავიფანტეთ. მეთევზეები ანკესებით წავიდნენ ტბაზე. ჩვენ კი — მონადირეები კუნძულის შუაგულისაკენ დავიძარით. თან ისე მრისხანედ გვქონდა თოფები მომარჯვებული, თითქოს სულ ცოტა, ცოცხალ მამონტს მაინც შევხვდებოდით. საქციელწამხდარმა ენინამ ამჯერად თევზაობისადმი ტრფიალი ნადირობაზე შეცვალა და ჩვენთან წამოვიდა.

რა თქმა უნდა, მამონტს არ შევხვედრივართ, მაგრამ რამდენიმე იხვი კი მოვკალით და ბორცვზე ერთი წამით გამოჩენილ მელასაც კინაღამ სული გავაფრთხობინეთ. ერთბაშად ტბიდან რაღაც ყვირილი მოგვესმა. ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ და ტბისკენ მოვქუსლეთ.

მეთევზეები პავლიკ გოროხოვის ირგვლივ შეჯგუფულიყვნენ და რაღაცაზე ხმამაღლა დაობდნენ. პავლიკს კი ხელისგულზე მათი დავის მიზეზი — ხალებიანი, მომცრო თევზი ედო.

— მე ვამბობ, რომ ეს ვირთევზაა! — ანკესის ქნევით გაჰყვიროდა პავლიკი. — ნამდვილი, ნამდვილი ვირთევზაა! ეს მე მკითხეთ...

— კი, მაგრამ, აქ რა უნდა ვირთევზას?! — მიუგეს მას, — ტბა ხომ მტკნარია, ვირთევზა კი — ზღვის ბინადარი — როგორ შეიძლებოდა აქ მოხვედრილიყო? მას ხომ მტკნარ წყალში სიცოცხლე არ შეუძლია.

პავლიკმა ანკესი გვერდზე მიაგდო და კვლავ ყურადღებით დაუწყო თვალიერება ნანადირევს.

— თქვენ რაც გინდათ ისა თქვით, ეს კი ნამდვილი ვირთევზაა! — ჯიუტური დაჟინებით თქვა მან და შემდეგ განაგრძო, — აი, ხალები! აი, წვერიც ქვედა ყბაზე!..

— ვხედავთ, მაგრამ ვირთევზას ხომ მტკნარ წყალში ცხოვრება არ შეუძლია.

— გამოდის, რომ მე ვირთევზას ახალი სახე აღმოვაჩინე, — დაჟინებით გაიძახოდა პავლიკი, — და ასეც დავარქმევთ მას: მტკნარი წყლის ვირთევზა.

— პავლიკ გოროხოვის სახელობისა! — მზაკვრულად დავუმატე მე.

— მოიცათ! — გაშმაგებით წამოიყვირა უცებ ენინამ, — ანკესი წყალში ღრმად ჩაუშვი?!

პავლიკმა მას დაფიქრებით შეხედა და უთხრა:

— ასე, ათ მეტრზე. ტივტივაც კი სპეციალურად გადავაადგილე. მომძულდა სულ ერთნაირი თევზის ჭერა და ვიფიქრე, ანკესს ღრმად ჩავუშვებ-მეთქი.

— მაშასადამე, ტბაში წყალი მტკნარიც არის და მარილიანიც. გაიგეთ? — გახარებით თქვა ენინამ და განაგრძო, — ჩემი ბრალი არ არის, ჩაი რომ მარილიანი იყო. ახლა მომაგონდა! გუშინ, პირველი ვედრო უფრო ღრმად ჩავუშვი — ვიფიქრე, სიღრმეში წყალი უფრო სუფთა იქნებოდა. ხოლო მერე ავჩქარდი, მეორე ვედროში წყალი იქვე ტბის ზედაპირიდან ავიღე; და აი, რა გამოვიდა: ერთ ვედროში ტბის სიღრმიდან ამოღებული წყალი მლაშე, მარილიანი აღმოჩნდა, ხოლო მეორე ვედროში კი — მტკნარი. ახლავე შევამოწმებ...

იგი ბანაკში გაიქცა და იმ წამსვე ვედროები მოარბენინა. დავიწყეთ ვედროების ტბაში ჩაშვება. ენინა მართალი აღმოჩნდა: საკმარისი იყო ტბაში ვედრო ღრმად ჩაგვეყურყუმელავებია, რომ იგი მომწარო, მარილიანი ზღვის წყლით ივსებოდა, მაშინ, როცა ტბის ზედაპირის წყალი სრულიად მტკნარი იყო.

— მაშასადამე, ასეც არის, — თქვა პავლიკმა, — ტბა-

ში წყლის ორი ფენაა: ქვევით უფრო მძიმე — ზღვისა, სადაც ვირთევზა ცხოვრობს, და ზევით — მსუბუქი, მტკნარი წყალი. ასეთი შემთხვევები არის. მაგრამ ზღვის წყალი როგორღა მოხვდა ტბაში?

ჩვენ ნაპირს გავყევით და ტბას ირგვლივ შემოვუარეთ. იგი სრულიად ჩაკეტილი იყო. ზღვისაგან სამოცმეტრიანი ქვიანი მიწის ზოლი ჰყოფდა.

— შეიძლება, იქ, მიწის ქვეშ არხია, — ვარაუდით თქვა უენიამ და თვალები გაუბრწყინდა. — აი, რომ გამოგვეკვლია!

კუნძულზე კიდევ ერთ დღეს დავყავით და საიდუმლოებით მოცულ ტბის სიღრმეში მრავალი ვირთევზა დავიჭირეთ, მაგრამ მიწისქვეშა არხის ვერავითარი კვალი ვერ აღმოვაჩინეთ.

ამ პატარა ტბის საიდუმლო გამოცანა ჩვენ მურმანსკში გავიგეთ, როცა ჩვენს მიერ დაჭერილი პატარა თევზები დიდი ქილით მივიტანეთ პოლარულ ოკეანოგრაფიის ინსტიტუტში. ჭაღარა პროფესორ-იხტიოლოგმა ჩვენი მოთხრობა მოისმინა და გაიღიმა.

— თქვენ, ჩემო მეგობრებო, — თქვა მან, — ნამდვილად არაჩვეულებრივი ტბა გინახავთ, რომლითაც მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესებულნი არიან. ამ ტბაში წყლის მარტო ორი სხვადასხვა ფენა როდია, არამედ ხუთი. ყველაზე ზედა ფენა მტკნარია, და მასში ისეთივე თევზები ცხოვრობენ, როგორც ჩვეულებრივ ტბაში. შემდეგ მოდის მომლაშო წყლის ფენა, კიდევ უფრო ქვევით — მწარე-მარილიანი, სადაც თქვენ ეს ვირთევზა დაიჭირეთ; მის ქვევით კი განსაკუთრებული ბაქტერიებისაგან ალუბლისფრად შეღებილი წყლის ფენაა. ხოლო კიდევ უფრო ღრმად, თვით ტბის ძირზე, გოგირდიანი წყალბადით გაჟღენთილი წყალია, სადაც სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ არის...

პროფესორმა გვიამბო, რომ ეს ტბა უძველეს პალეოგრაფიულ პირობებში შექმნილ ტბათა საინტერესო ნაშთს ეკუთვნის. უწინ აქ ზღვა იყო. შემდეგ მისმა ფსკერმა ამოიწია, ამოიბურცა და შეიქმნა კუნძული. ხოლო ზღვის მლაშე წყლით გავსებული ღრმა ხევი ტბად გადაიქცა. ზღვის ბინადარი — ვირთევზა კი ამ ტბის ტყვე გახდა. დროთა განმავლობაში გამდნარმა თოვლის წყალმა ტბის წყლის ზედა ფენა გაამტკნარა, რის გამოც ვირთევზა სიღრმეში წავიდა. ასეთ არაჩვეულებრივ პირობებში ტბის ტყვემ ცხოვრების ხასიათი შეიცვალა და უფრო მეტიც — შეიცვალა სხეულის ფორმაც: უფრო პატარა გახდა, ვიდრე მისი მშობლები, რომლებიც ზღვაში ცხოვრობენ. უკვე ასეული წელია, ვირთევზა ტბის სიღრმეში ცხოვრობს. ზევით ამოსვლას მტკნარი წყალი უშლის.

— რაც შეეხება მიწისქვეშა არხს, — დასძინა პროფესორმა, — თქვენ თითქმის მიხვდით! ტბა დაკავშირებულია ზღვასთან. ზღუდე, რომელიც ტბას ზღვიდან ჰყოფს, ქვიშისა და წვრილი კენჭებისაგან შედგება, რომელშიაც მოქცევის დროს ზღვის წყალი მიეონავს. ასე რომ, ტბის სიღრმეში მარილიანი წყალი სისტემატურად ახლდება. სხვა შემთხვევაში მარილიანი წყლის ფენის ბინადარნი დიდი ხნის წინად დაიღუპებოდნენ, ხოლო წყალს რომ გაჰყვნენ, არ შეუძლიათ: ქვიშა-კენჭის ფილტრი არ გაატარებს...

ჩვენ პროფესორს მადლობა გადავუხადეთ; მე სახსოვრად ჩრდილოეთის ტბის ხალებიანი ვირთევზას ფიტული ვთხოვე.

იცით თუ არა თქვენ, მეგობრებო, რას ეძახიან ამ საოცარ ტბას და სად არის იგი? ესაა ტბა მოგილნოე — კუნძულ კილდინზე.

თარგმნა შალვა ღოღობერიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ, ოჯახში...

ნ. ნულეისკირი

ფოტო

დ. იაკობაშვილისა

დილაადრიან დააკაკუნა ვიღაცამ კარზე. დედამ სასწრაფოდ ჩაიცვა და აღელვებული წავიდა. მერე მამაც მიჰყვა... ნახევრადმძინარე ჟანა ლოგინზე წამოჯდა.

ოთახში სიწყნარე სუფევდა. არც მეორე ოთახში ჩანდა ვინმე. „წასულან“, დაასკვნა ჟანამ და ფიცხლად წამოხტა. ალბათ ძალიან ცუდათაა ბებუა. გუშინაც მთელი დღე იქ იყო დედა, გუშინწინაც.

ასე გაგრძელდა ერთ თვეს. დედას ოჯახისთვის აღარ ეცალა, ავადმყოფ მამას ადგა თავს. დარჩა ოჯახი ჟანას. დიასახლისად იგრძნო თავი. ჯარასავით დატრიალდა, ოთახი მიალაგა, იატაკი დაასუფთავა, ჭურჭელი ააბმიანა და, მერე რომ მიიხედ-მოიხედა, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს დედის ხელი მოხვედრიაო.

იატაკს კრიალი გაჰქონდა, თაროზე დარეცხილი თეფშები ქათქათებდნენ, ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებდა. ახლა კი კმაყოფილი მიუჯდა ჟანა წიგნებს. უხაროდა, რომ ოჯახს ხელი შეაშველა. ამიტომაც, შრომის შემდეგ სწავლაც უფრო ხალისიანი ეჩვენა.

ეს დღეც გავიდა. მეორეც, მესამეც. დედამ უფრო მოიცალა ოჯახისათვის, შვილისათვის. მაგრამ შრომის ჩვევა უკვე მშობლიური გახდა ჟანასათვის. მეზობლები „პატარა დიასახლისს“ უსაქმოდ ვერ ხედავდნენ. დედაც კმაყოფილებით შეჰყურებდა გოგონას. იმ დღეს იხსენებდა, ერთხელ რომ დატუქსა ჟანა, იატაკი რად მორეცხე, შენ წიგნებს მიხედე, მხოლოდ ეგ არის შენი საქმეო. „კი, მაგრამ, მეგონა შენ გაგეხარდებოდაო“,— აბუზღუნდა ჟანა. მაშინ იგი მეორე კლასში იყო.

დღეს, ჟანა ოჩიგავა მე-6 საშუალო სკოლის მეექვსკლასელი სანიმუშო მოსწავლეა. „შრომაშიც პირველობა, სწავლაშიაც პირველობა“. ასეთია ჟანას გადაწყვეტილება.

ჟანას ხშირად ნახავთ სკოლის პიონერთა ოთახში, მოცეკვავეთა გუნდის მეცადინეობაზე, მათემატიკური წრის სხდომებზე. ყველგან აქტიურობს იგი. ტოლ-ამხანაგებიც ცდილობენ მიჰბაძონ მარჯვე მეგობარს.

აი, დღესაც დედ-მამას ელოდა ჟანა. საღამო ჟამს ორივე სამსახურიდან დაბრუნდა და ესიამოვნათ დაკრიალებული ოთახი, დალაგებული საწერი მაგიდა, თბილი სადილი.

ბოლო დროს ხელსაქმესაც მიჰყო გოგონამ ხელი. პირველად პატარა მზიას თოჯინას შეუკერა კაბა, მერე ნახმარი კაბა სარაფანად გადაიკეთა, ნელ-ნელა აჩვევს ჭრა-კერვას ხელს. ამ საქმეში დედაც ეხმარება მუყაით შვილს.

ასეთია ჟანა: ბეჯითი, გამგონე, შინ და გარეთ მოწინავე.

ჟანა სულაც არ იცნობს ამირან მაკარაშვილს, მაგრამ ორივე საოცრად ჰგავს ერთმანეთს. აბა, ნახეთ, თუ არა.

ამირანი თბილისის მე-12 საშუალო სკოლის მე-5 კლასში სწავლობს. ისიც სამაგალითო მოსწავლე და პიონერია. ზრდილობიანი, წესიერი, პიონერული შეკრების, კედლის გაზეთების, ყოველგვარი საზეიმო სასაღამოების გამაცოცხლებელი. იგი ხომ ლექსებს წერს და ხშირად კითხულობს სკოლის სცენაზე, ათავსებს კიდეც კედლის გაზეთში.

ასეთია ამირანი სკოლაში. სახლში კი, გაკვეთილების დამზადების შემდეგ, გამოცდილ მეურნესავით გამოიტანს თოხს, ან ბარს და სახლის წინ პატარა ბაღჩა რომ აქვს, იქ ტრიალებს, ფარვანასავით თავს ევლება ნარგავებს: ბარავს, თოხნის, რწყავს, სხლავს. ეს ბაღჩა ამირანის მოშენებულია. მშვენიერია იგი ზაფხულობით: მწვანით შემოსილი, აყვავებული. კმაყოფილი ამირანი ყოველ დილით ათვალიერებს ნარგავებს, რაიმე ხომ არ უჭირთო. ფრთხილობს, ნაყოფმა ტოტი არ ჩამოტეხოს ნამყენს, ჭიანჭველა არ დაეხვიოს ნარგავს. საქმეს არ გადადებს, მაშინვე შეუდგება, ამიტომაც ასეთი კოხტა და ლამაზი ბაღი აქვს ამირანს.

უსაქმოდ ყოფნა არ შეუძლია ამირანს, იგი ან მეცადინეობს, ანდა რაიმეს აკეთებს. განსაკუთრებით ფეხსაცმელების შეკეთება ეხერხება. ზის და გულმოდგინედ აკერებს, აჭედებს, ჭიმავს, ერთი სიტყვით ყველაფერი გამოუდის ხელიდან.

მამა ადრე გარდაეცვალა ამირანს. ოჯახს პენსია აქვს დანიშნული, მაგრამ მზრუნველი დედა მაინც გადის სამუშაოდ. ამ ბოლო დროს ბიჭებიც წამოეზარდნენ, დედას წამოეშველნენ და ახლა რაღა უჭირთ. ამირანმა და მისმა უფროსმა ძმამ თავისი ხელით მიაშენეს სახლს ერთი პატარა ოთახი; ამ ოთახს „ამირანის ოთახს“ ეძახიან, რადგან იქ მეცადინეობს. რამდენი შრომა დახარჯა ბიჭმა მის აშენებაში, თავისი ხელით შელესა, გაალამაზა. მართალია, უფროსი ძმა თავზე ადგა, მაგრამ მერე რა? ჯერ კიდევ პატარაა ამირანი, რომ გაიზრდება, არავინ არ დაჭირდება, უფრო დიდ სახლებს ააშენებს, უფრო კარგებს და ლამაზებს.

ამირანი ზოგი ბიჭივით ქალის საქმეს როდი თაკილობს. როცა საჭიროა სადილსაც უმზადებს ოჯახს.

ამირანი არც ქალის საქმეს თაკილობს. ზოგი ბიჭივით ნემსი და ძაფი არ ეუცხოება.

ის კი არა, ერთხელ, დედა რომ სხვაგან წავიდა— „ბოდი კერძს დავამზადებ და ძმას დავახვედრებო“ — გაუელვა თავში ამირანს, გამოიტანა კარტოფილი, ჯამი, დანა და შეუდგა საქმიანობას.

უეცრად ჭიშკარი გაიღო და მეზობლიანთ გიგა შე-

ამირანი ფარვანასავით თავს ევლება ხაკუთარი ხელით გაშენებულ ხეხილსა და ვაზს: ბარავს, თოხნის, რწყავს, სხლავს...

უფროს ძმასთან ერთად მიაშენა ამირანმა სახლს პატარა ოთახი; ცოტა შრომა როდი დაეხარჯა მის გალესვა-გალამაზებაში.

მოვარდა ველოსიპედზე წამოსკუპული. ამირანს აბეზარა გიგას გამოჩენა არ მოეწონა, მაგრამ წარბი შეიკრა და დაბეჯითებით განაგრძო კარტოფილის თლა.

—დიასახლისს გაუმარჯოს!—შესძახა გიგამ დამცინავად.

—გაგიმარჯოს!—კუშტად მიუგო ამირანმა.

— წამოდი, ველოსიპედით გავისეირნოთ.

— არა მცალია!

— აბა, მაშ, ქვაბს მიხედე, ხახვი არ დაგეწვას!— თქვა გიგამ, შემოატრიალა ველოსიპედი და ქუჩაში გავარდა.

ეწყინა ამირანს გიგას სიტყვა, მაგრამ წარბიც არ შეიხარა. კაცს ხელიდან ყველაფერი უნდა გამოუვიდესო, და ნავთქურაზე შემომდგარ ქვაბს ახლა კარტოფილი ჩააჭრა.

* * *

გაივლის წლები... დაიზრდებიან ისინი. ცხოვრების დიდ გზას გაჰყვებიან და, დამოუკიდებელ ცხოვრებას რომ დაიწყებენ, კმაყოფილებით გაიხსენებენ ამ დღეებს: მათ ხომ სკოლის მერხიდან, სწავლასთან ერთად შეისისხლხორცეს დიადი შრომა.

ჰელსინკში

ევროპის გარშემო ჩვენი — საბჭოთა ტურისტების მოგზაურობის პირველი შთაბეჭდილებანი ფინეთს ეკუთვნის.

15 ივნისს ლენინგრადიდან ბალტიის ზღვაში გავიდა გემი — „გრუზია“, მეორე დღეს ფინეთის სიახლოვე გვამცნეს თოლიებმა.

მშვენიერი დილა დადგა.

„გრუზიაზე“ მშობლიური ჰიმნი გაისმა. მას შეუერთდა ჰელსინკის ნავსადგურში ჩვენს შესახვედრად გამოსულ ფინელ მეგობართა ოვაციები. ფინელები ცოცხალი ყვავილებითა და ჩვენთვის საგანგებოდ დამზადებული ლამაზი სამკერდე ნიშნებით შეგვხვდნენ. ჩვენს შესახვედრად ფინელი ბავშვებიც გამოსულიყვნენ. ისინი აღტაცებით შემოგვცქეროდნენ, როცა გულზე საფესტივალო სამკერდე ნიშნებს ვაბნევდით. მათ თავაზიანად ჩამოგვართვეს აგრეთვე საფესტივალო ღია ბარათებიც.

იმ დღესვე შევუდექით ჰელსინკის დათვალიერებას. ფინეთის ამ ლამაზი დედაქალაქის შესახებ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება. საინტერესოა ეს ფაქტი: ფინეთის მოწინავე ადამიანები მუდამ ამაყობენ, რომ მათმა დედაქალაქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დიდ ადამიანთა ცხოვრებაში. მეფის მთავრობის რეპრესიების დროს ჰელსინკში ჰპოვეს თავშესაფარი მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა და გამოჩენილმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ.

მეტად თავისებური ქალაქია ჰელსინკი. იგი სამი მხრიდან ზღვით არის გარშემორტყმული. მეოთხე მხრიდან შემოჭრილი ტყე კი თანდათანობით გადადის ბალში. ამ კლდოვან, მაგრამ ამავე დროს მწვანე ქალაქს, ოავისებურ სილამაზეს აძლევს წიწვნარი. ჰელსინკი დიდი გემოვნებით არის გამწვანებული. აქ უამრავი სხვა-



ფინეთის ნაციონალური მუზეუმი ჰელსინკში

ფინეთის საბავშვო ჟურნალ „კურის“ („ტოროლა“) ერთ-ერთი ნომერი.



ფინეთის ნაციონალური თეატრი ჰელსინკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა ფერის ყვავილი ერთმანეთშია არეული. მაგრამ მათი განლაგება სრულ ჰარმონიაშია ქალაქის ნაგებობათა არქიტექტურასთან. ჰელსინკის ჰაერი წითელი და თეთრი იასამნის სურნელებითაა მუდამ გაჟღენთილი... ჰელსინკელები ამაყობენ თავიანთი ქალაქით. არაჩვეულებრივად სუფთა ქუჩებში მცირე მტვერსაც კი ვერ შენიშნავთ.

ორი დღე ვათვალიერებდით ჰელსინკს. ვნახეთ პარლამენტის მდიდრული შენობა. მისი დარბაზების ჭერი და იატაკი იტალიური, გერმანული და შვედური მარმარილოთია მოპირკეთებული. დავათვალიერეთ უნივერსიტეტი, სადაც ათი ათასამდე სტუდენტი სწავლობს.

მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე უნივერსიტეტის წინ, სენატის მოედანზე დადგმული ძეგლის კომპოზიციამ. მთელი ტანით ამართულ ალექსანდრე III-ეს ხელში ხმალი უპყრია, მის ფერხთით კი, კვარცხლბეკზე, მშრომელთა ფიგურებია. მათ ხელში ცული, ნამგალი, დაკრეფილი ხილი და პურის თავთავები უჭირავთ. ეს ქანდაკება საბჭოთა ტურისტებს თვითმპყრობელობის სიმბოლოდ გვეჩვენა. მაგრამ, სამაგიეროდ, ქალაქის ცენტრში აღმართულმა სამი მჭედლის ქანდაკებამ ჩვენი მოწონება დაიმსახურა: იგი მშრომელებისადმი ფინელი ხალხის სიყვარულს გამოხატავს.

ფინელ ხალხს უყვარს თავისი კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება. ამ სიყვარულზე მატერიალური ძეგლებიც მეტყველებენ. ნაციონალური თეატრის წინ ცნობილი ფინელი მწერლის — ალექსირივის ძეგლია ამართული. ქალაქგარეთ კი ჩვენი ყურადღება მიიპყრო პატარა, უპრეტენზიო ქანდაკებამ: ესაა ქვაში შთაგოხებით გამოკვეთილი ქალი. იგი მე-18 საუკუნის სახალხო მთქმელი და ხალხური ნაწარმოებთა შემკრები ლარი პარასკესია. ფინელები ამაყობენ თავიანთი ეპოსით, ამ ეპოსის ღრმა ჰუმანიზმით, საგმირო და პატრიოტული

ფინელი გოგონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჭიჭინაძე

ნახატები **გ. თოთიბაძისა**

მუხრან-ბატონი და გოგრის პატრონი

მუხრან-ბატონის ყმამ გოგრა დათესა თავის კარმიდამოზე. გვალვიანი ზაფხული იყო და ერთი ძირის გარდა თითქმის ყველა გადახმა. ის ერთი ძირიც, თითქოს პატრონის დასაცინად, ღობე-ყორეზე ამძვრალიყო და ნაყოფი სწორედ ბატონის ნაკვეთზე გამოება.

გლეხი პირველ ხანებში ამას არაფრად აგდებდა. გოგრა ბევრი მითესია, აბა, ღმერთი ისე როგორ გამიწყრება, რომ მაგ უბედური გოგრის იმედად დამტოვებსო,—ამბობდა იგი. მაგრამ ღარიბ-ღატაკს, როგორც მოგეხსენებათ, ღმერთი არასოდეს არ წყალობდა და გლეხიც ულუკმაპუროდ დასვა. მთელი ნათესი გოგრა სულ გადაუხმო, ის ერთი ძირი კი, რომელიც ბატონის ნაკვეთზე გადასულიყო, ისე უცნაურად გაიზარდა და გაიბერა, რომ გლეხი დაცინვით იტყოდა ხოლმე:

«მუხრან-ბატონს უნდა მივართვა ძღვნად, ძმებივით ჰგვანან ერთმანეთსაო».

მაგრამ, სანამ გლეხი ამ ხუმრობას საქმედ აქცევდა, მუხრან-ბატონმა თვითონ შეამჩნია ღობეზე კოხტად გადმოკიდებული ვეება გოგრა და შინაყმებს უბრძანა: მოეწყვიტათ იგი და ნასადილევს მიერთმიათ მისთვის.

— ბატონო, ეგ გოგრა სიკოსია, ღობეზე გადმოსულა. თქვენს ბაღჩებში ორჯერ მაგაზე მსხვილი გოგრები ხარობს, სიკოს კი მაგის მეტი არა გააჩნია რა! — სცადეს შინაყმებმა ბატონის გულის მოლბობა. მაგრამ მუხრან-ბატონმა ერთი ისეთი დაიქუხა, რომ გოგრა თავისთავად მოწყდა ბარდის ღეროს.

— ადექი, უბედურო, და გააგებინე იმ კაცს, რომ ეგ გოგრა ჩვენი დათესილია, ჩვენს ნაკვეთზე იხარა. სთხოვე უკან დაგიბრუნოს, ხომ ხედავ ბალღები როგორ გიტირიან შიმშილით!—უთხრა ცოლმა სიკოს.

— ბატონო, შენი სახელის ჭირიმე, ნუ გამირისხდები, აგრემც ღმერთი შეგეწევა, ეგ გოგრა ჩემია და დამიბრუნე,—შეევედრა გლეხი ბატონს.

მუხრან-ბატონი ამ დროს აივანზე ვაზის ჩრდილში წამოწოლილიყო, გვერდით მამაო-წმიდა-კარის მღვდელი ეჯდა და სადილობის მოლოდინში სუფთა ჰაერზე ტკბილად ნებივრობდა. «ახლა უარს ვერ მეტყვის, მღვდელიც აქ არისო», — გაიფიქრა სიკომ.

მუხრან-ბატონმა მარცხენა თვალი მოჭუტა და მომჩივანს აუღელვებლად მიმართა:

— სიკო, კაცო, როგორ არა გრცხვენია, სამართალი არ არის?! ღმერთს ნუ სცოდავ, გოგრამ თავად მრინდომა ჩემს ბაღჩაში გადმობრძანება, გოგრა ჩემია, მორჩა და გათავდა! აი, თუ გინდა, მამაოც დამემოწმება!

—მართალია, შვილო, გოგრა ბატონს ეკუთვნის, ეტყობა ცუდად უვლიდი, წყალი მოაკელი ალბათ, ვერ აიტანა გვემა შენი, შემოგწყრა და ჩვენ მოგვევლინა, საამებლად!—თავის კანტურით დაუდასტურა მღვდელმა ბატონს.

— ბატონო, ნუ დამღუპავ, ეგ ერთი გოგრა-ღა შემრჩენია!—ცრემლნარევი ხმით შეევედრა გლეხი.

— ხალხნო! — განრისხდა ბატონი,— უყურეთ ერთი ამ უტვინოსა!

— თვით უსულო გოგრამ შეიგნო ჭეშმარიტება ბუნების კანონებისა, რაც დააწესა წმიდა მაცხოვარმა! — დაუმატა მღვდელმა.

— ამ უჭკუოს კი,—განაგრძო მუხრან-ბატონმა,—ის ვერ შევაგნებინე, რომ გოგრა ჩემია! ის ახლა თავისივე სურვილით იხარშება ჩემს ქვაბში და... ხოლო, რაც შეეხება ჩემს კაცთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარეობას, მე ამ უჭკუოს გოგრის თესლს ვაძლევ ფეშქაშად!

რაღას იზამდა უბედური გლეხი. ადგა და წავიდა შინისაკენ. მიხვდა, რომ უსამართლო ბატონთან ვერაფერს გახდებოდა.

გოგრა ძალზე გემრიელი გამოდგა და მეორე დღეს ბატონმა მოსამსახურე ბიჭს იმ გოგრის თესლი გაატანა სიკოსთან: ჩადი და გამიგე, შეიგნო თუ არა იმ რწყილიჭერიამ გუშინდელი ჩემი სიტყვებიო. ბიჭი მალე დაბრუნდა და ბატონს ეშმაკური ღიმილით მოახსენა:

— ბატონო, მე და ჩემმა ღმერთმა, სიკოს საუკეთესოდ შეუგნია თქვენი გუშინდელი სიტყვების ჭეშმარიტება; ამდგარა და ოჯახიანად გადახიზნულა.

გახევდა მუხრან-ბატონი, გული ბოღმით აევსო, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. მიხვდა, რომ ჭკუით გლეხმა აჯობა. აბა, გახიზნულ გლეხს სადღა იპოვნიდა? უკან აღარ გამოკიდებია, ხოლო გოგრა ამ დღიდან ფვალის დასანახავად შეძულდა.



ინგლისური იუმორი

* * *

ჯეკი სკოლაში ხშირად იგვიანებდა. ზამთრის ერთ სუსხიან დილით კი ისე დაიგვიანა, რომ მასწავლებელმა მიზეზი გამოჰკითხა:

— იცით რა, მასწავლებელო, გზა ისე მოლიპული იყო, რომ რამდენ ნაბიჯსაც წინ გადავდგამდი, იმდენ ორ ნაბიჯს უკან მივსრიალებდი, თავს ვეღარ ვიმაგრებდი...

— კი, მაგრამ, მაშინ სკოლაში კი არა, სახლში უნდა მისულიყავი! — გაიკვირვა მასწავლებელმა.

— საქმეც იმაშია, რომ შუა გზიდან უკან გავბრუნდი და სახლისაკენ მივეშურებოდი.

* * *

— ერთი გირვანქა კარაქი მინდა სწორედ ისეთი, როგორიც გუშინ წავიღე, — უთხრა პატარა ბიჭმა კარაქის გამყიდველს. — დედამ დამაბარა სხვანაირი არ წამოიღოო.

— ხომ უყურებთ, როგორ იცნობენ ჩემს პროდუქტებს, — უთხრა გამყიდველმა მაღაზიაში შეყრილ სხვა მყიდველებს.

— დიახ, — მიუგო ბიჭმა, — დღეს ნათესავებს ველოდებით და მომავალში ისევ რომ არ გვესტუმრონ, დედამ გადაწყვიტა ჩაიზე მათ სწორედ თქვენი კარაქი მიართვას.

ინგლისურიდან თარგმნა

გ. დოლიძემ

სპორტული თემაზე

ლა-მანშის გადაცურვა

„ბრძოლა ლა-მანშისათვის“ — ასე დაარქვეს უცხოეთის გაზეთებმა ტრადიციულ გაცურვას ლა-მანშის სრუტეში, რომელიც გასული საუკუნიდან თითქმის ყოველწლიურად ტარდება. იმ ხანად თითზე ჩამოსათვლელი იყო მამაცები, რომლებიც ბედავდნენ ამ სრუტის გადაცურვას; ახლა კი ყოველწლიურად მას მრავალი მამაკაცი და ქალი სძლევს.

ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს მასიური გადაცურვა, რომელიც შემოდგომაზე იმართება, გაზეთ „დეილი გერალდის“ სპეციალურ პრიზზე. სრუტის სიგანე ყველაზე ვიწრო ადგილას, საფრანგეთისა და ინგლისის ნაპირებს შორის, 32 კილომეტრია. დღევანდელ „წყლის მარათონელებისათვის“ ეს არც თუ ისე დიდი მანძილია, მაგრამ მძლავრი დინება, სიცივე და ცუდი მეტეოროლოგიური პირობები ლა-მანშის სრუტეს ძალზე ძნელად გადასალახს ხდის. ძალიან ხშირად ნაპირთან სულ ახლოს მისული, გამოცდილი და კარგი მომზადებული სპორტსმენებიც კი დინებას ვერ უმკლავდებიან და შეჯიბრს სტოვებენ.

ბოლო ხანებში ამ მარათონში სულ უფრო და უფრო მეტი ქალი მონაწილეობს, მაგრამ წლევანდლამდე არც ერთი არ გამხდარა აბსოლუტური ჩემპიონი. ტრადიცია დანიელმა სპორტსმენმა ქალმა გრეტა ანდერსონმა დაარღვია, რომელმაც აგვისტოს თვეში ლა-მანშის გაცურვის დროს, უკან ჩამოიტოვა ყველა მამაკაცი და პირველი ადგილი დაიკავა. მან 32 კილომეტრი, საფრანგეთის ნაპირებიდან ინგლისამდე, 13 საათსა და 32 წუთში გაცურა. მამაკაცთა შორის გამარჯვებული მას თითქმის ორი საათით ჩამორჩა.

აღნიშნული შეჯიბრი მეტად ძნელ პირობებში მიმდინარეობდა: ზღვა შფოთავდა, წყლის ტემპერატურა დაბალი — 16 გრადუსი იყო, უბერავდა ცივი ქარი. სიცივისაგან თავის დასაცავად გაცურვის წინ, მონაწილეებმა ტანი სპეციალური საცხის სქელი ფენით დაიფარეს. მიუხედავად იმისა, რომ სტარტი ღამის 3 საათზე იქნა მიცემული, ამ საინტერესო სანახაობის საყურებლად ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი, ბევრი მათგანი კი ნავებით თან გაყვა მოცურავეებს.

შეჯიბრის დამთავრებიდან სამი დღის შემდეგ ანდერსონმა განაცხადა: ჩემი შარშანდელი გამარჯვება გრძელ მანძილზე ცურვაში, ლა-მანშის გაცურვასთან შედარებით, რომლის შემდეგაც მე ჯერ ვერ გავმთბარვარ, „ბავშვური თამაში იყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინეთის პეიზაჟი

მოტივებით. ამიტომაც გამოუკვეთიათ სიყვარულით ფინური ეპოსის შემსრულებლისა და დამცველის სახე.

საინტერესოა ქალაქის ერთერთ ცენტრალურ ქუჩაზე მოთავსებული „ბავშვთა სახლი“. ეს შენობა თორმეტსართულიანია. თითოეულ სართულზე ქალების ფიგურები დგას მწკრივად. იგი ალბათ დედობის სიმბოლოდ გაიაზრა ხელოვანმა. ბავშვთა სახლში ისვენებენ და მკურნალობენ ფინელი ბავშვები. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ მათ უფასოდ როდი მკურნალობენ!

ქალაქის ქუჩებში სიარულის დროს შევნიშნეთ, რომ ევროპული მარკის ავტომანქანების გვერდით ჩვენი, საბჭოთა „პობედები“ და „მოსკვიჩებიც“ დასრიალებდნენ.

გაგვაკვირვა ქუჩაში შემომხვდარმა საქორწილო პროცესიამ. მას წინ თეთრებში გამოწყობილი პატარძალი და შავფრაკიანი სიძე მიუძღოდა. უკან კი დაწყვილებულ ქალ-ვაჟთა გრძელი მწკრივი მისდევდა. სულ ბოლოს, კენტად მოდიოდა მღვდელი.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ყურადღებას იქცევდნენ, აგრეთვე, ფინელი ბავშვებიც. მათ ხშირად ვხვდებოდით ქუჩებში, ლამაზ პარკებში. ბაღში სეირნობის დროს შევნიშნეთ რამდენიმე პატარა, ოთხი-ხუთი წლის ბავშვი. მათთვის მშობლებს ტყავის თასმები გამოებათ და ისე ასეირნებდნენ. ალბათ, ეს თასმა იმ მიზნით გამოაბეს, რომ ბავშვს ხელი არ დაღლოდა, ან არ დაკარგულიყო, მაგრამ ჩვენ მაინც გაგვაკვირვა ამ სურათმა.

მოგვეწონა ფინელ ბავშვთა ზრდილობა. ისინი ძალიან თავაზიანები არიან. დიდ ყურადღებას აქცევენ სისუფთავეს. ქუჩაში ქაღალდის ნაკუწსაც კი არ დააგდებენ. ფინელ გოგონებსა და ბიჭებს ძალიან უყვართ ცხოველები, ფრინველები, თვინიერად ეჭცევიან მას. ალბათ, ამიტომაც იყო რომ, ქალაქის განაპირას, კუნძულ სეურასაარის ტყეში სეირნობისას, ხის კენწეროებიდან გვეგებებოდნენ ციყვები. ისინი ფინელ ბავშვებს თითქმის მოთვინიერებული ჰყავთ. ჩვენც კანფეტებითა და თხილით ვუმასპინძლდებოდით ამ პატარა, მარდ ცხოველებს.

დადგა ჰელსინკიდან ჩვენი წასვლის დღეც. ნავსადგურთან ბავშვთა გუნდი შემოგვეხვია. ხსოვნაში ჩამრჩა მოხუცი ქალის შემკრთალი სახე. გემის კიბეზე ასვლის წინ იგი სასწრაფოდ მომიახლოვდა და ღია ბარათი გადმომცა. ზედ ჰელსინკის დამახასიათებელი ხედი იყო დახატული. ბარათის მეორე მხარეს კი ქალს, ნაჩქარევი ხელით, ფანქრით რუსულად წაეწერა:

„გულითადი სალამი ძვირფას მეგობრებს. ჩვენ გვინდა მშვიდობა და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. ფინელი ქალი“. ეს ბარათი დღესაც შენახული მაქვს. დიახ, ფინელ ქალს მშვიდობა უნდა! უნდა მშვიდობა თავისი შვილების, შვილიშვილების, მთელი მსოფლიოს ბავშვთა საბედნიეროდ.

გემი „გრუზია“ დაიძრა ჰელსინკის ნავსადგურიდან. წამოვიდა. შხაპუნა წვიმა. ჰელსინკელებმა მაინც არ დატოვეს ნავსადგური. დიდხანს გვიქნევდნენ ხელს და მეგობრობის სიტყვებს მოგვძახოდნენ.

ქსენია სიხარულიძე,

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბავშვთა სახლი ჰელსინკში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისალმებათა ენციკლოპედია

მტკიცე, მეგობრული ხელის ჩამორთმევა მისალმების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა. მაგრამ ბევრ ხალხს ძველთაგან წარმოშობილი და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული მრავალი სხვადასხვა მისალმება აქვს. ძნელია იმის თქმა, როდის თქვა ადამიანმა: აი, თქვენ ჩემი ხელი, ან მისალმების ნიშნად როდის გადაეკვნა ერთმანეთს ორი მარჯვენა. შეიძლება ეს გამოქვაბულის ადამიანმა ჰქნა პირველად, ან შემდეგში, უფრო გვიან, ეგვიპტის პირამიდების ჩრდილში მოხდა ეს. მაგრამ, ასეა თუ ისე, მისალმების ეს ფორმა უკვე გავრცელებული ყოფილა ძველ ტროადაში, რაზედაც ჰომეროსიც მიუთითებს.

დროთა განმავლობაში მისალმების ეს ფორმა თითქმის დავიწყებას მიეცა და მისი ადგილი მდიდრულმა რიტუალებმა დაიკავეს, რომელთაც, რასაკვირველია, განსაკუთრებული გასაქანი მონათმფლობელურ საზოგადოებაში მიეცა.

შეიცვალა დრო. თანდათან წარსულს ჩაბარდა შეურაცხმყოფელი მუხლის მოდრეკა, და ხელის ჩამორთმევა საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილის ჩვევა გახდა. მაგრამ ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ევროპაში მეფის კარის ცერემონმეისტერები მისალმებათა სულ უფრო და უფრო რთულ წესებს იგონებდნენ, ხელის ჩამორთმევა გავრცელებული იყო ისეთ ადგილებში, სადაც ევროპელს ჯერ ფეხი არ შეედგა, მაგალითად, ცენტრალურ აფრიკაში.

ევროპელმა მკვლევარებმა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა აფრიკის ცენტრალურ ნაწილებში მოგზაურობდნენ, ხელის ჩამორთმევა, როგორც მისალმების ფორმა, იქაურ ველურ ტომებში აღმოაჩინეს. ამასთან ველურებს იგი მოწიწებისა და ზრდილობის შეურყვნელ ზომამდე ჰქონდათ აყვანილი.. გამბიის მცხოვრებთათვის, მაგალითად, უფრო შეურაცხმყოფელი და საწყენი არაფერი იყო, ვიდრე გამოწვდილი მარჯვენისათვის მარცხენა ხელის შეგებება.

ზოგიერთ ხალხს ხელის ჩამორთმევა მეგობრული გრძნობის გამოხატვის საკმაოდ ძუნწ ფორმად მიაჩნია, და ხელის ჩამორთმევის შემდეგ ერთმანეთს ხელის გულზე შუა თითს ურტყამენ. კონგოს აუზში კი შემხვდურები ორივე ხელს ართმევენ ერთმანეთს და დახრილები ზედ უბერავენ.

პეპლების ან ხოჭოების მსგავსად, მისალმებათა კოლექციონირება რომ შეიძლებოდეს, მაშინ კაპიტანი კუკი, რომელიც პირველი ევროპელთაგანი იყო ოკეანიის კუნძულებზე, იქიდან მისალმებათა მთელ მუზეუმს ჩამოიტანდა, რადგან ყოველ პატარა კუნძულზე სულ სხვადასხვა სახის მისალმებები ჰქონდათ. ზოგიერთ კუნძულზე ხელის ჩამორთმევა მცირეოდენ ძალისმიერ შეჯიბრში გადადიოდა, რომლის დროსაც შემხვდურები თითებგადანასკვულნი, ერთმანეთს თავისაკენ ექაჩებოდნენ.

მეორე კუნძულზე კი ასეთი მისალმება იყო გავრცელებული: გაჭიმული დადგებოდნენ, ხელებს მუჭად შეკრავდნენ, ჯერ წინ გაიშვერდნენ, შემდეგ მაღლა ამართავდნენ, ბოლოს კი მუჭებს გაშლიდნენ და ხელებს თავისუფლად ჩამოუშვებდნენ ძირს. ამით, შემხვდურები ერთმანეთს უმტკიცებდნენ, რომ ხელში იარაღი არა ჰქონდათ.

კაპიტანი კუკი ყველაზე მეტად ახალ ზელანდიელების ჩვევამ გააოცა: ისინი შეხვედრისას ერთმანეთს ცხვირებს მიადებდნენ და ზედ უხახუნებდნენ. ახალ ზელანდიაში კუკი მეორე მისალმებამაც გააკვირვა: ზოგიერთნი შეხვედრისას თავს დაბლა კი არ ხრიდნენ, არამედ რაც შეიძლება მაღლა სწევდნენ მას.

თავის დახრა მისალმების დიდად გავრცელებული ფორმა იყო. ახლა ევროპაში, როგორც წესი, ოდნავი თავის დახრით მხოლოდ შორეული ნაცნობები ესალმებიან ერთმანეთს. აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი ჩინეთში, თავის ოდნავი დახრა მისალმების საყოველთაოდ აღიარებული ფორმაა. ინდოეთში თავის დახ-











რასთან ერთად ჯერ შუბლთან, შემდეგ კი მკერდთან მიიტანენ ხოლმე ხელებს. არაბები თავის დახრისას მარჯვენა ხელს შუბლზე იდებენ, მარცხენას კი — გულზე. თითქოს ამით ერთმანეთს თავიანთ აზრსა და გრძნობას უზიარებენო. აფრიკის ერთ-ერთი ტომის წევრები მისალმების დროს მუჭებს გულთან მიიტანენ, შემდეგ ოდნავ თავს ხრიან და რამდენჯერმე ტაშს შემოკრავენ ხოლმე. თქვენც, ალბათ, დიდი ხნის უნახავ მეგობარს რომ შეხვდებით, სიხარულის ნიშნად მას მხარზე ხელს დაჰკრავთ. ხელის შემოკვრა ბევრი ხალხების მისალმებათა შემადგენელი ნაწილია. ასე მაგალითად, აინი კაცები წვერზე ირტყამენ ხელს, ქალები კი ზედა ტუჩზე. ტანგანიკის ზოგიერთი მკვიდრნი ერთმანეთს მუცელზე ურტყამენ ხელს, შემდეგ ტაშს შემოკრავენ, ბოლოს კი ხელს ართმევენ ერთმანეთს.

ბევრ შემთხვევაში ასეთ მისალმებებს რამდენიმე სიტყვაც ახლავს თან და, როგორც წესი, ეს სიტყვები ძალზე ბევრის მთქმელია ხოლმე.

ჩეხოსლოვაკიაში საერთოდ აღიარებული მისალმების ფორმაა «ჩესტ პრაცე!»-«დიდება შრომას».

ძველი ბერძნები შეხვედრისას ერთმანეთს შესძახებდნენ ხოლმე—«გიხაროდეს». ძველი სირიელები კი ერთმანეთს სიტყვა «შალომ»-ით ესალმებოდნენ, რაც მშვიდობას ნიშნავს.

ᲟᲘᲠᲐᲤᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

როგორც იცით, ჟირაფს ძალზე გრძელი კისერი აქვს, ამიტომ მისი თავი გულიდან თითქმის სამი მეტრით მაღლა მდებარეობს. მეცნიერები დიდი ხანია დაინტერესდნენ, თუ როგორ ააქვს ჟირაფის გულს ასეთ დიდ სიმაღლეზე სისხლი.

გმოკვლევებმა დაადასტურა, რომ ჟირაფის გული მძლავრ ტუმბოს ჰგავს და 12 კილოგრამს იწონის. გულის კედლის სისქე 8 სანტიმეტრამდეა. სისხლის წნევა ჟირაფს ორჯერ მეტი აქვს, ვიდრე ადამიანს, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ჟირაფის მძლავრ გულს სისხლი სამი მეტრის სიმაღლეზე ააქვს.

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲡ ᲛᲘᲛᲑᲐᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ

„წონაში 22 კილოგრამი დავიკელი, მაგრამ ცოცხალი გადავრჩი“ ეს სიტყვები ეკუთვნის ფრანგ ექიმს ბომბარს, რომლის საკვირველი მოგზაურობის შესახებ გასული წლის უკანასკნელ ნომერში გიამბობდით. როგორც გახსოვთ, ბომბარმა მარტოდ-მარტომ, ნავით გასცურა ატლანტიის ოკეანე, იკვებებოდა ზღვის პროდუქტებით, სვამდა ზღვის წყალს.

ახლა ბომბარს მიმბაძველი გაუჩნდა. ჰამბურგელ ექიმს, სახელად ჰანს ლინემანს, ამას წინათ, 72 დღეში გადაუცურავს ატლანტიის ოკეანე. ნავი იალქნიანი ყოფილა და, როგორც ბომბარს, ლინემანსაც ხანგრძლივი ცურვის მანძილზე მხოლოდ ზღვის პროდუქტებით უსარგებლია. მამაც მოგზაურს ორჯერ გადაბრუნებია ნავი, იგი საშინლად შეუწუხებია შიმშილსა და წყურვილს, მაგრამ მაინც თავგანწირულად გაუგრძელებია ცურვა და, თუმცა წონაში 15 კილოგრამი დაუკლია, ნაპირზე მაინც მშვიდობით მიუღწევია.

ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲒᲝᲒᲠᲐ

ჩინეთში, თბილი კლიმატის რაიონებში, ზღვის დონიდან 100 მეტრზე, ხარობს მრავალწლიანი გოგრა „იუჩუაგო“. ყოველ გოგრაში 6 გიგანტი თესლია, სიდიდით იხვის კვერცხს უტოლდება და თითოეული 62 გრამს იწონის.

ᲛᲖᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔ 1000 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

სათვალე, რომელიც იცავს თვალს მზის სხივებისაგან, სულ ცოტა, 1000 წელია რაც არსებობს. თავდაპირველად მას ისეთ ადგილებში იყენებდნენ, სადაც ბევრი თოვლი იცის. მაშინ სათვალეებს შუშისაგან არ ამზადებდნენ. ამისათვის ხმარებაში იყო ქარვის თხელი ფირფიტა, ან კიდევ, თევზის გაჭიმული ბუშტი. ასეთი სათვალეებით ახლაც სარგებლობენ ესკიმოსები.

ქალაქი ჯუნგლებში

კამბოჯაში მიუვალ ჯუნგლებში, მდებარეობს ძველი, დიდებული ქალაქის ნანგრევები.

ამ შესანიშნავი ქალაქის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. მას ანკორი რქმევია და მე-9-14 საუკუნეებში კხმერის ძლიერი სახელმწიფოს დედაქალაქი ყოფილა. საკმაოდ ვაძლიერებულ კხმერებს ამ პერიოდში ყველა მეზობელი სახელმწიფო დაუმორჩილებია და აურაცხელი სიმდიდრე უგდიათ ხელში. თავიანთი ლამაზი დედაქალაქი კი მონების შრომით კიდევ უფრო მეტად გაულამაზებიათ. მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს, ეს უზარმაზარი ქალაქი, თითქმის მილიონიანი მოსახლეობით, უეცრად დაცარიელებულა, ჯუნგლების მსხვერპლი გამხდარა და კხმერის სახელმწიფოსაც არსებობა შეუწყვეტია.

დღესდღეობით მეცნიერებას არ გააჩნია ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოხდა ანკორში. ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, რომ კხმერის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს ყველა დაპყრობილმა სახელმწიფოებმა და საერთო ძალით ანკორს ბოლო მოუღესო. მაგრამ ქალაქის ნანგრევებში თითქმის არაფერი ლაპარაკობს იმაზე, რომ აქ ოდესმე ომი ყოფილა. ზოგიერთი

მეცნიერი იმ აზრისაა, რომ ქალაქის მოსახლეობა, ალბათ, რომელიმე ეპიდემიამ იმსხვერპლაო. ასე თუ ისე, ეს ბრწყინვალე ქალაქი, უმოკლეს ხანაში, უდაბურ ადგილად გადაქცეულა და საუკუნეების მანძილზე მის შესახებ ევროპაში არაფერი სცოდნიათ. მხოლოდ 1911 წელს დაიწყო ამ დაქცეული ქალაქის გაწმენდა და სათანადო შესწავლა.

რვაფეხა და გოლოტურია

ესპანეთის, იტალიის, ალჟირის, ჩინეთისა და ინდონეზიის მცხოვრებთათვის რვაფეხა ჩვეულებრივი და მეტად სანუკვარი საკვებია. ათასგვარ სუნელით და საწებლით შემზადებული რვაფეხა მეტად სასიამოვნო ულუფაა. მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით მილიონ ტონა რვაფეხას იჭერენ.

რადგან რვაფეხები ადვილად არიდებენ თავს მეთევზის ბადეს, მათ დასაჭერად გონებამახვილ მეთევზეებს მრავალი საინტერესო ხერხი აქვთ გამოყენებული. ჰავაის კუნძულების მცხოვრებლები, მაგალითად, შემდეგ ხერხს იყენებენ: რვაფეხაზე ღამე ნადირობენ, როდესაც ისინი რიფებზე არიან ამოსულნი; მაგრამ რვაფეხა ძალზე ფრთხილია და, როგორც კი ყურს მოჰკრავს რაიმე ხმაურს, იმ წამსვე ნაპრალში ან ორმოში იმალება, იქიდან კი მისი გამოდენა თითქმის შეუძლებელია. მაშ რას აკეთებენ ჰავაელები? ისინი პატარა, კიტრის ფორმის, მოლუსკს, სახელად გოლოტურიას, აბამენ თოკს და იმ ნაპრალში უშვებენ, სადაც რვაფეხაა შეფარებული. შეშინებული რვაფეხა იმ წამსვე ტოვებს სამყოფელს და თავის საშველად გარეთ გამორბის. აქ კი წინდაწინ დადარაჯებული მეთევზეები ადვილად უმკლავდებიან მას.

რით არის გამოწვეული რვაფეხას ასეთი დიდი სიძულვილი თუ შიში გოლოტურიასადმი, ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის.

ქაღალდი ნაილონისაგან

ინგლისში, ნაილონის პატარა ძაფებისაგან ქაღალდს ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ქაღალდი მეტად მკვრივია, კარგად უძლებს სინესტეს, მაღალ ტემპერატურას და სხვადასხვა ქიმიურ შენაერთებს. ასეთი ქაღალდი დიდხანს ძლებს და ძნელად იხევა.

ჯიბის ახალი ნათურა

ნათურის კორპუსში მოთავსებულია ორი თანმიმდევრულად ერთმანეთთან დაკავშირებული 1,2 ვოლტიანი აკუმულატორი. ახალი ნათურის ელექტრო-მოწყობილობა შესაძლებლობას იძლევა დაიმუხტოს ცვალებადი დენის 127 და 220 ვოლტის მქონე ელექტრო-ქსელის საშუალებით. ნათურა რომ დაიმუხტოს, ამისათვის საჭიროა მოეხსნას მას უკანა მხარეზე მოთავსებული პარა სახურავი და იქიდან ჩაირთოს ელექტრო-ქსელის შტეპსელში. დამუხტვა, საჭიროების მიხედვით, შეიძლება შეწყდეს და კვლავ განახლდეს.





ომი ყვავილებთან

აი, უკვე წელიწადზე მეტია, რაც ბელგიის კონგოში მიმდინარეობს გააფთრებული ომი... ყვავილების წინააღმდეგ. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობს ხუთასი გემი. დახარჯულია ორი მილიონი დოლარი, მაგრამ ჯერჯერობით გამარჯვება ყვავილებს რჩებათ.

წყლის გიაცინტი-ეიხორნია, სამართლიანად ითვლება ბელგიის კონგოს ერთ-ერთ საოცარ მცენარედ. ერთ დროს გიაცინტებს სპეციალურად აშენებდნენ ბაღებსა და ეზოებში, მაგრამ ახლა ეს ლურჯი, ნაზი ყვავილი მოსახლეობის საშიშ მტრად გადაიქცა.

ეს 1956 წელს დაიწყო. ეიხორნიის მცურავი კუნძულებით ჯერ მდინარე კონგოს შენაკადები გაივსო, შემდეგ კი ამ ყვავილმა თვით კონგოს შეუტია და რამდენიმე თვეში მთლად ჩაკეტა ეს უზარმაზარი მდინარე. ყვავილის ძირები და ფოთლები ეხვევიან გემებს და ამით ნაოსნობას შეუძლებელს ხდიან.

მეცნიერებმა ჯერ ვერ დაადგინეს ყვავილის ასეთი უეცარი, კატასტროფიული გამრავლების მიზეზი, მათ მხოლოდ რჩევა მისცეს მთავრობას ყვავილებისათვის ქიმიური ომი გამოეცხადებიათ. ახლა ბელგიის კონგოს სამხედრო ფლოტილია თავგამოდებული იბრძვის ყვავილების წინააღმდეგ.

არწივი ფეხბურთის მოედანზე

ბოლივიის დედაქალაქ ლაპლასში ამას წინათ საოცარი ამბავი მოხდა:

ეს ქალაქი ზღვის დონიდან ძალზე მაღლა მდებარეობს, ამიტომ კონდოლები, არწივები და სხვა მტაცებლები შინი ხშირი სტუმრები არიან. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როდესაც ერთხელ, ფეხბურთის მატჩის დროს, სტადიონის თავზე არწივი გამოჩნდა. მაგრამ ყველასდამოულოდნელად მტაცებელმა უცებ კამარა შეჭრა, ქვასავით დაეშვა მინდორზე და კლანჭებით ბურთს დააფრინდა. ჩაჰკორტნა, მოჯიჯგნა უცნაური მრგვალი საგანი, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, ბურთი კლანჭებში ჩაბღუჯა და სწრაფად აიჭრა ჰაერში. ამ დროს სტადიონის თავზე სხვა არწივებიც გამოჩნდნენ, შეშინებულმა მსაჯმა თამაში შეწყვიტა, მოთამაშეებმა კი მოედანი დატოვეს. ფეხბურთის ოქმი შეუვსებელი დარჩა, ქვეშ კი მიაწერეს: „არწივების შემოტევის გამო თამაში არ დამთავრებულაო“.



ლესინგის იგავები

ნახ. გ. ჩირინაშვილისა

ყორანი

ყორანმა შეამჩნია, რომ არწივი კვერცხებზე სრულ ოცდაათ დღეს ზის.

— აი თურმე რატომ არიან არწივის ბარტყები შორსმხედველნი და ძლიერნი,—დაასკვნა მან.—კეთილი! მეც ასე მოვიქცევი.

და მართლაც, მას აქეთ ყორანი კვერცხებზე სრულ ოცდაათ დღეს ზის, მაგრამ უბადრუკი ბახალების გარდა ჯერ არაფერი გამოუჩეკია.

ეკლის ბუჩქი

— **ერთი** მითხარი, შეეკითხა ტირიფი ეკლის ბუჩქს,—რატომ ეტანები გამვლელი ადამიანის ტანსაცმელს? რად გინდა, რაში გარგია ის?

— არაფერში!—უპასუხა ეკლის ბუჩქმა,—მე განა წართმევა მსურს, მინდა დავუხიო მხოლოდ.

ლომი ვირთან

ესოპეს* ლომს მხეცებზე ნადირობაში ვირი საზარელი ყროყინით ეხმარებოდა. ერთხელ, როცა ლომი და ვირი ტყეში მიდიოდნენ, ერთმა მეტიჩარა ყვავმა ჩამოსძახა ლომს.

— რა საუცხოო მეგობარი გყავს! ნუთუ არ გეთაკილება, გვერდით რომ ვირი მოგდევს?

— ვინც მე მჭირდება, ჩემს გვერდით მის ყოფნასაც ავიტან,—მიუგო ლომმა.

ასე მსჯელობს ყველა დიდკაცი, თუ თავი გაუყადრა პატარა კაცს.

მაჟალო

მაჟალოს ფუღუროში ფუტკრის გუნდი დასახლდა. ფუტკრებმა ფუღურო ძვირფასი თაფლით აავსეს. ამით ხე იმდენად გაამაყდა, რომ სხვა ხეები არაფრად მიაჩნდა.

— აი, უბადრუკი ამპარტავნობა, ნასესხები სიტკბოებით!—შესძახა ვარდის ბუჩქმა.—ვითომ შენი ნაყოფი ახლა ნაკლებად მჟავეა? მას მიეცი თაფლის სიტკბოება, თუ უნარი შეგწევს, მაშინ დაგლოცავს ადამიანი.

გერმანულიდან თარგმა ა. **კარანაძემ**

---

* **ესოპე** —დიდი ბერძენი იგავთმწერალი

სარკე და მაიმუნი

(ქრილოვიდან)

აქაქი

მაიმუნმა თავის თავი
სარკეში რომ დაინახა
დაპრანჭული, დაჯღანული,
დათვს წასტორა, მიაძახა:

„მოდი, ერთი ჩაიხედე!
რა გიჩვენო, დათუჩაო?
ვინ არის და სად მოსულა
ეს მახინჯი და ტუჩაო?

მე რომ ვიყო მაგისთანა,
დავმალავდი სწორედ თავსო,
თუმცა ჩვენში კი ბევრია,
რომ სრულებით მაგას ჰგავსო

დათვმა უთხრა: „ჩემო დაო!
რად ათითებ ტყვილა სხვებსო
შენს თავზე რომ დაიხედო,
მე ვგონებ, ის აჯობებსო“.

პასუხები „პიონერის“ № 11-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი კრიპტოგრამაზე

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს!

პასუხი გამოცანაზე „ბამჭრიახი შეგირდები“

ქათმის მყიდველმა ყოველ შვიდ ქათამში თითო მანეთი გადაიხადა, ხოლო ერთში – სამი მანეთი. ინდაურის მყიდველმაც ყოველ შვიდ ინდაურში თითო მანეთი გადაიხადა, ხოლო ორი მათგანი სამ-სამ მანეთად შეიძინა. გოჭის მყიდველმა 7 გოჭში ერთი მანეთი გადაიხადა, ხოლო სამი სამ-სამ მანეთად იყიდა.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. № 12 1957
Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85

უე 04435, ტირ. 14.000, ხელმოწ. დასაბ. 17/XII-57 წ. სტამბის შეკვ. № 161, გამომც. შეკვ. № 755
საქ. კპ. ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

379/379

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუმრობა



უსიტყვო ხუმრობა უნგრულ გაზეთ „პაიტაშიდან“.

ნახატი ხუმრობა.

თემა ნ. კილასონიასი. ნახატი რ. ცუცქირიძისა.



ნახატი ხუმრობა.

თემა ა. ოთხიაშვილისა. ნახატი რ. ცუცქირიძისა.